საბჭოთა დემოკრატიის ტრიუმფი

დღეს მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხები სიამაყით, სიყვარულითა და სიხარულით აღნიშნავენ საბჭოთა კონსტიტუციის დღეს.

ოქტომბრის რევოლუციის ქარიშხალში შობილი საბჭოთა სახელმწიფო ლაღად მიაპობს ტალღებს კაცობრიობის განვითარების ოკეანეში, მისი ორიენტირია — კომუნიზმი!

ისტორიისათვის რა მცირეა, მაგრამ რა დიადია ის გზა, რაც გაიარეს საბჭოთა ადამიანებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 44 წლის მანძილზე. უკიდურესი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობიდან და „ფსკერგავარდნილი" სოფლებიდან მძლავრი მოწინავე სოციალისტური ინდუსტრიისა და მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობის შექმნამდე, კაპიტალიზმის უძლიერეს ქვეყანასთან—ამერიკის შეერთებულ შტატებთან ეკონომიურ შეჯიბრებამდე, ათეულ მილიონობით ადამიანის უწიგნურობის ლიკვიდაციიდან მსოფლიოში ყველაზე განათლებულ საზოგადოებამდე და კულტურისა და მეცნიერების ჭეშმარიტ აყვავებამდე, კოსმოსური ხომალდების შექმნამდე — აი, რა ნაბიჯები გადადგა წინ ჩვენმა ხალხმა ახალი ცხოვრების მშენებლობაში!

დღეს 25 წელი შესრულდა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღებიდან. ამ ხნის მანძილზე კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, შემდგომ გაიფურჩქნა სოციალისტური დემოკრატია. შესამჩნევად ამაღლდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლი და ავტორიტეტი როგორც პოლიტიკური საფუძვლისა საბჭოთა საზოგადოების მართვაში. სოციალიზმის აშენებამ, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციამ საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციების ცვლილებები მოახდინა. ძალა დაკარგა ექსპლოატატორთა დათრგუნვის ფუნქციამ და ყოველმხრივი განვითარება ჰპოვა სოციალისტური სახელმწიფოს მთავარმა ფუნქციამ — სამეურნეო-ორგანიზატორულმა და კულტურულ-აღმზრდელობითმა ფუნქციამ. სოციალისტური სახელმწიფო შევიდა თავისი განვითარების ახალ ფაზაში, დაიწყო პროცესი სახელმწიფოს გადაზრდისა მშრომელთა საერთო-სახალხო ორგანიზაციად. პროლეტარიატის დიქტატურამ, რომელმაც უზრუნველყო სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, საბჭოთა სახელმწიფოს გადასვლა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეტაპზე, შეასრულა თავისი ისტორიული მისია. სახელმწიფო, რომელიც იშვა როგორც პროლეტარიატის დიქტატურა, გარდაიქმნა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოდ.

სკკპ პროგრამა ახალ ეტაპს ქმნის საბჭოთა დემოკრატიის განვითარებაში. კომუნიზმი ხომ თავისუფალ და შეგნებულ მშრომელთა მაღალორგანიზებული საზოგადოებაა, რომელშიც საზოგადოებრივი თვითმმართველობა დამკვიდრდება. პროგრამა ემყარება იმას, რომ საბჭოთა დემოკრატიის ყოველი ღონისძიებით განვითარება კომუნისტურ თვითმმართველობაზე თანდათანობითი გადასვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა. „სოციალისტური სახელმწიფოების განვითარება თანდათან გამოიწვევს, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — მის გარდაქმნას საზოგადოებრივ კომუნისტურ თვითმმართველობად, რომელშიც გაერთიანდებიან საბჭოები, პროფესიული, კოოპერაციული და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციები. ეს პროცესი მომასწავებელი იქნება დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი საქმეების მართვაში".

კომუნიზმის მშენებლობა წარმოებს ყველაზე დემოკრატიული მეთოდებით, მეგობრობასა და ამხანაგობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფისა და განვითარების გზით, საზოგადოებრივი ცხოვრების ძველი ფორმების კვდომისა და ახალი ფორმების წარმოქმნის პირობებში. სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა არ საჭიროებს საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირეულ მსხვრევას, ღრმა სოციალურ რევოლუციასა და პროლეტარიატის დიქტატურას. საზოგადოების ყველა წევრი სისხლხორცეულად დაინტერესებულია კომუნიზმის გამარჯვებით და შეგნებულად ცდილობს მიაღწიოს ამ გამარჯვებას.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში განუზომლად იზრდება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლი, პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების როლი. საბჭოები თანდათანობით გარდაიქმნებიან საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებად, მათი რწმუნებანი გაფართოვდება. სულ უფრო მეტი ნაწილი სახელმწიფოებრივი ფუნქციებისა გადაეცემათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პირობაა ყველა მოქალაქის კომუნისტური შეგნების ამაღლება. ჩვენი ადამიანების სულიერი ზრდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესი ისტორიული მონაპოვარია. განა პარტიის პროგრამაში ჩამოყალიბებული მაღალი ზნეობრივი პრინციპები უკვე დღეს, ჩვენს დროს, არ გახდა საბჭოთა საზოგადოების ყველა მოწინავე ადამიანის მორალური კოდექსი? მაგრამ ჩვენს შრომისმოყვარე ადამიანებს შორის ჯერ კიდევ ვხვდებით ზარმაცებს, მუქთახორებს, საზოგადოებრივი დოვლათის დამტაცებლებს, ადამიანებს, რომლებსაც მხოლოდ უფლებები ახსოვთ, კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოვალეობებს კი ივიწყებენ. საჭიროა ასეთი ადამიანების მიმართ ვქმნიდეთ ისეთ ვითარებას, რომ ისინი გრძნობდნენ თავიანთი ქცევის დაგმობას მთელი საზოგადოების მიერ. თვითეული მოქალაქე ჩვენი ქვეყნისა, რომელიც ისტორიაში პირველი კვალავს გზას კომუნიზმისაკენ, ვალდებულია პატიოსნად შრომობდეს საზოგადოების საკეთილდღეოდ, მტკიცედ იცავდეს და პატივს სცემდეს საბჭოთა კანონებს, შრომის დისციპლინას, აქტიურად ებრძოდეს სოციალისტური წესრიგის დამრღვევთ.

ჩვენი ხალხი აღსავსეა ისტორიული ოპტიმიზმით. იგი კომუნიზმის გაშლილ მშენებლობას შეუდგა სწორედ მაშინ, როდესაც სსრ კავშირში შეიქმნა საერთო დამახასიათებელი ნიშნების მქონე სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, რომელსაც აქვს საერთო სოციალისტური სამშობლო — სსრ კავშირი, საერთო ეკონომიური ბაზა — სოციალისტური მეურნეობა, საერთო მსოფლმხედველობა — მარქსიზმ-ლენინიზმი, საერთო მიზანი — კომუნიზმის აშენება.

და ეს მიზანი ახლა საბჭოთა ადამიანებისათვის შორეული როდია. გავა კიდევ ოცი წელი — ისტორიისათვის მეტად მცირე მონაკვეთი — და ყოველი საბჭოთა ადამიანი ამაყად იტყვის: მე კომუნიზმის დროს ვცხოვრობ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი.
№ 275 (12189)
სამშაბათი, 5 დეკემბერი, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.



ნახ. ა. ქოქიაშვილისა

დღეს საბჭოთა კონსტიტუციის დღეა!

კომუნიზმი დღეს

თაოსნობის ზეიმი

წერილი მოსკოვიდან ქართველ ელმავალმშენებლებს

◆

ძვირფასო ქართველო მეგობრებო!

ამ ისტორიულ დღეებში, როდესაც მთელი ჩვენი დიადი ქვეყანა გმირული შრომით ხორცს ასხამს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩვენს კომუნისტური შრომის ბრიგადაშიც ენერგიის გაათკეცება, შემოქმედებითი ძიება და უმაგალითო ენთუზიაზმი იგრძნობა.

ჩვენ, დეპო მოსკოვი-დამხარისხებლის მუშები, ვამაყობთ ჩვენი რევოლუციური წარსულით. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ აქ, ჩვენს დეპოში, მოეწყო პირველი კომუნისტური შაბათობა 1919 წელს. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ამ კომუნისტურ შაბათობებს ვ. ი. ლენინი გამოეხმაურა გენიალური ნაწარმოებით „დიადი თაოსნობა", სადაც მან ჩვენი მამების წამოწყებას „კომუნიზმის ყლორტები" უწოდა.

ჩვენი თაობა მამების რევოლუციური ტრადიციების ერთგული დარჩა. ჩვენ სათუთად მოვუარეთ „კომუნიზმის ყლორტებს" და ავაყვავეთ ისინი. სამი წლის წინათ ჩვენს დეპოში დაიწყო მოძრაობა დევიზით „ვიცხოვროთ და ვიშრომოთ კომუნისტურად".



დღეს ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხეში, როგორც ამ დღეებში „პრავდა" წერდა, 20 მილიონი ადამიანი იბრძვის, რომ იშრომოს და იცხოვროს კომუნისტურად. 192 ათასი კომუნისტური ბრიგადის 2 მილიონი წევრი უკვე კომუნისტური შრომის დამკვრელია.

კომუნისტური შრომის ბრიგადების ამ დიდ მოძრაობაში ღირსეული წვლილი შეაქვთ საქართველოს მშრომელებს და მათ რიცხვში თქვენც, ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის მუშებო, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებო.

ჩვენს ბრიგადას სურვილი აქვს შეჯიბრებაში გამოიწვიოს თქვენი ბრიგადა. ჩვენი სურვილია გვქონდეს უფრო მჭიდრო კონტაქტი, მიწერ-მოწერა, დელეგაციების გაცვლა.

ორიოდე სიტყვით მინდა გაგაცნობოთ, თუ რა მოხდა ახალი სკკპ XXII ყრილობის წინა დღეებში და მის შემდეგ ჩვენს ბრიგადაში.

მინდა გახაროთ, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გზით მივაღწიეთ იმას, რომ დღეს ბრიგადაში 37 კაცის საქმეს 21 კაცი აკეთებს. შრომის ნაყოფიერება 120 პროცენტამდე გაიზარდა. რაც ჩვენი კომუნისტური შრომის ბრიგადა შეიქმნა, დაინერგა 200-მდე რაციონალიზატორული წინადადება. ჩვენი ბრიგადის ყველა წევრი რაციონალიზატორია.

ბრიგადის თვითეული წევრი ეუფლება 2-3 მომიჯნავე პროფესიას. ამან საშუალება მოგვცა თბომავლების რემონტის დრო 30 პროცენტით შეგვემცირებინა.

საწარმოს ზრდასთან ერთად იზრდებიან ადამიანები. მათი მორალური სახე უპასუხებს სკკპ XXII ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში მოცემულ საბჭოთა ადამიანის მორალური კოდექსის მოთხოვნებს.

მაგალითად, ბრიგადის ესა თუ ის წევრი დილით თვითონ გეგმავს რა აკეთოს მთელ დღეს. თავისი შრომის ნორმირებას თვითონვე ახდენს. ეს უკვე კომუნისტური შეგნებაა, მეგობრებო.

მეორე მაგალითი. ხელფასს ჩვენ უმოლარეოდ ვიღებთ. მაგიდაზე დევს მთელი ბრიგადის ხელფასი და უწყისი. თვითეული მუშა თვითონ იღებს ხელფასს. გამორიცხულია შემთხვევა, რომ ვინმემ ზედმეტი ფული წაიღოს, იმდენად მაღალია თვითეული მუშის შეგნება.

კიდევ ასეთი მაგალითი. ბუფეტში გამყიდველი არ მუშაობს. ბრიგადის თვითეული წევრი თვითონ ემსახურება თავის თავს, ფულს ტოვებს მაგიდაზე და მიდის.

მსგავსი მაგალითების დასახელება შორს წაგვიყვანდა.

ჩვენი დევიზია „ყველა — ერთისათვის, ერთი — ყველასათვის!".

ამას წინათ შევქმენით ბრიგადის საბჭო, რომელშიც უკეთესთა შორის უკეთესი 9 მუშა შედის. საბჭო სარგებლობს ბრიგადირის უფლებებით. საბჭო ეხმარება ბრიგადის წევრებს იშრომონ და იცხოვრონ კომუნისტურად.

საბჭოს თვითეული წევრი პასუხს აგებს მუშაობის გარკვეული უბნისათვის. ზოგი რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას ხელმძღვანელობს, ზოგი — კულტმასობრივ ღონისძიებებს, ზოგი — ყოფაცხოვრების საკითხებს, ზოგი — თვალყურს ადევნებს შრომის დისციპლინას და სხვ.

დროდადრო საბჭო იკრიბება. ამას წინათ განვიხილეთ ზეინკალ ფარაფონოვის საკითხი. მან სამუშაო დღის დამთავრებამდე დღიური დავალება 2 საათით ადრე გადაჭარბებით შეასრულა, დარჩენილი დრო ფუჭად დაკარგა. ვიმსჯელეთ, დღიურში შევუტანეთ საყვედური, მივეცით გამოსასწორებელი დრო.

ჩვენი ბრიგადის წევრები თავისუფალ დროს უთმობენ ხელოვნებას, მეცნიერებას, კულტურას. კომუნიზმის მოქალაქე ინტელექტუალურად ფრიად განვითარებული პიროვნება უნდა იყოს. დავდივართ სახალხო უნივერსიტეტებში, თეატრებში, ვესწრებით ლექციებს, ვაწყობთ დისპუტს წაკითხულისა და ნახულის გარშემო.

ქართველო მეგობრებო! მდიდარია და მრავალფეროვანი ჩვენი კომუნისტური შრომის ბრიგადის ცხოვრება. როგორც აღვნიშნე, ჩვენ ვამაყობთ ჩვენი რევოლუციური წარსულით, ჩვენი დღევანდელობით, მაგრამ წინ კიდევ უფრო საინტერესო მომავალი გვაქვს, ჩვენი დეპო ახალი ზღუდეების ასაღებად იბრძვის. 1962 წლის ბოლოს 19 პროცენტით გადავაჭარბებთ შრომის ნაყოფიერების იმ დონეს, რომელიც შვიდწლედის ბოლოსათვის არის ნავარაუდევი რკინიგზის ტრანსპორტზე. მოვახდენთ შრომატევადი სამუშაოების მთლიან მექანიზაციას, არაკვალიფიციური შრომის მთლიან ლიკვიდაციას. კომუნისტური შრომის ჩვენი ბრიგადა ამ ზღუდეებს პირველი აიღებს დეპოში.

ჩვენ ძალიან გვინდა გავეცნოთ თქვენს მიღწევებს, ქართველო მეგობრებო. მოგვწერეთ მათ შესახებ.

მალე შეხვედრამდე.

მაგრად გართმევთ ხელს.

ვ. სტანილევიჩი,
მოსკოვის რკინიგზის დეპო მოსკოვი-დამხარისხებლის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ზესტაფონელი შუქურა

ზესტაფონი. (საქ. კორ.). ვენახის კარგი მოვლით თავი გამოიჩინა სოფელ ფუთის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის გამოცდილმა მევენახემ ვ. პირველაშვილმა. იგი ზესტაფონელ მევენახეთა შუქურაა. მან აგროტექნიკის ზუსტად დაცვით დაამუშავა ვენახი და ჰექტარზე გადაანგარიშებით 140 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

ვ. პირველაშვილმა პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ იკისრა მომავალ წელს მიჩნეული ნაკვეთიდან ჰექტარზე გადაანგარიშებით მოიყვანოს სულ მცირე 160 ცენტნერი ყურძენი.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების გამო

იმასთან დაკავშირებით, რომ ჟენევაში განახლდა მოლაპარაკება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, საბჭოთა მთავრობამ გააკეთა განცხადება, რომელშიც კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ახალი წინადადებანი ატომური და თერმოატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე ღირსეულად შეაფასეს მთელი მსოფლიოს ხალხებმა. ყველამ, ვინც დაინტერესებულია მშვიდობის განმტკიცებით, სამართლიანად დაინახეს ამ წინადადებებში პრაქტიკული შესაძლებლობა, რომ დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო ატომური იარაღის ყველა სახეობის გამოცდას.

მაგრამ, როგორც აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს კვლავაც განაგრძოს ატომური იარაღის გამოცდა, ინგლისის მთავრობამ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ იგი ვერ „შეიბოჭავს თავს ვალდებულებით არ განახორციელოს ატომური იარაღის შემდგომი გამოცდა ან მხარი არ დაუჭიროს ასეთ გამოცდას". საფრანგეთის მთავრობას დღემდე არ განუცხადებია, რომ მზად არის იკისროს ვალდებულება არ განახორციელოს ასეთი გამოცდა.

საბჭოთა მთავრობა მთელი სიმტკიცით აცხადებს, რომ თუ დასავლეთის სახელმწიფოები განაგრძობენ ატომური იარაღის გამოცდას, მათ შორის მიწის ქვეშაც, საბჭოთა კავშირი იძულებული იქნება თავისი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით განახორციელოს ატომური იარაღის ისეთი გამოცდა, როგორსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს თავისი თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად.

გვინდა გვჯეროდეს, ნათქვამია საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელ წრეებში და ისინი, ბოლოს და ბოლოს, დაადგებიან ატომური იარაღის გამოცდის საშიში თამაშის შეწყვეტის გზას, ასეთი გამოცდის სამუდამოდ აკრძალვის შესახებ შეთანხმების დადების გზას, როგორც ამას სთავაზობს დასავლეთის სახელმწიფოებს საბჭოთა კავშირი.

ახალი საბჭოთა წინადადებების განხორციელება მნიშვნელოვანწილად გააჯანსაღებდა საერთაშორისო ვითარებას და შექმნიდა ხელსაყრელ პირობებს ჩვენი დროის მთავარი პრობლემის — საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის უსწრაფესად გადაჭრისათვის. ამით შეტანილი იქნება ძვირფასი წვლილი დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში.

(საქტასი).

დიდი ასამბლეა

გაიხსნა პროფესიული კავშირების V მსოფლიო კონგრესი

◆

უძველეს მოსკოვის კრემლში 4 დეკემბერს დილით ნახავდით ყველა კონტინენტის სულ სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლებს. ესენი პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესის დელეგატები და სტუმრები არიან, რომლებიც ასზე მეტი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. ყველანი მიდიან ყრილობათა სასახლის ნათელი შენობისაკენ. საზღვარგარეთის პროფკავშირულ მოღვაწეებთან ერთად აქ არიან სსრ კავშირის პროფკავშირთა დელეგაცია, მრავალი სტუმარი — დედაქალაქის ქარხნებისა და ფაბრიკების აქტივისტები. საბჭოთა ადამიანები გულთბილად მიესალმებიან საზღვარგარეთელ ამხანაგებს.

მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის ისტორიაში ჯერ არასდროს არ შეკრებილა ესოდენ წარმომადგენლობითი ასამბლეა. კონგრესი მოიწვია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ — მუშათა კლასის ყველაზე მძლავრმა ორგანიზაციამ. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა, მაშინ 67 მილიონ კაცს აერთიანებდა. ახლა ფედერაციის რიგებში 107 მილიონზე მეტი მშრომელია. ეს ციფრები დამაჯერებლად მოწმობს, რომ იზრდება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, მისი გავლენა, პოპულარობა და ძალები.

წარსულში ფედერაციის კონგრესები იმართებოდა პარიზში, მილანოში, ვენაში, ლაიფციგში, ახლა კი მთელი დედამიწის მშრომელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ მოსკოვში, ქალაქში, რომელიც საყოველთაო მშვიდობის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის მედროშეა. და ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს V მსოფლიო კონგრესს.

დელეგატები და სტუმრები იკრიბებიან სხდომათა დარბაზში, სადაც მხოლოდ რამდენიმე კვირის წინათ მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა, რომელმაც კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამა მიიღო. დიადი შემოქმედების პროგრამას მთელი მსოფლიოს მშრომელები მეტად ცხოველი ინტერესით შეხვდნენ.

დილის ათ საათზე პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესი იწყებს მუშაობას. მისი მონაწილენი ერთსულოვნად ირჩევენ პრეზიდიუმს, რომელშიც შედიან ბევრი ქვეყნის პროფესიული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლუი საიანი მიმართავს დამსწრეთ და სთხოვს პატივი სცენ საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის იმ ხელმძღვანელ მოღვაწეთა ხსოვნას, რომლებიც IV კონგრესის შემდეგ პერიოდში გარდაიცვალნენ. იგი ასახელებს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ყოფილ თავმჯდომარეს ჯუზეპე დი ვიტორიოს, სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა ფედერაციის თავმჯდომარეს ლი შუ-იუს, საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურ მდივანს გასტონ მონმუსოს, აგრეთვე ალჟირის მშრომელთა საყოველთაო კავშირის გენერალურ მდივანს აის იდირს, რომელიც ფრანგმა კოლონიზატორებმა მოჰკლეს. დელეგატები და სტუმრები წუთიერი დუმილით პატივს სცემენ მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლთა ხსოვნას.

შესავალ სიტყვას ამბობს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე აგოსტინო ნოველა. ფედერაციის სახელით იგი მხურვალე, ძმურ სალამს გადასცემს საბჭოთა პროფკავშირებს, სსრ კავშირის მშრომელებს და დიდ მადლობას უძღვნის დელეგატებსადმი გაწეული სტუმართმოყვარეობისათვის, მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობებისათვის. საბჭოთა კავშირის გზა, ამბობს ნოველა, მეცნიერებისა და ადამიანის გონების თვალსაჩინო გამარჯვებებით აღინიშნა.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე აცხადებს, რომ V კონგრესი შეაჯამებს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის, ყოველგვარი ექსპლოატაციის, ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის ბრძოლის სახელოვან შედეგებს.

V МОСКВА 4-16 XII 1961
ВСЕМИРНЫЙ КОНГРЕСС ПРОФСОЮЗОВ

შეკრებილთა ტაშის გრიალში იგი მიესალმება ალჟირის, ანგოლისა და სხვა ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის წინააღმდეგ თავიანთი განთავისუფლებისათვის.

შეეხო რა თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას, აგოსტინო ნოველა ლაპარაკობს დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიულობაზე. მშვიდობის უზრუნველსაყოფად საჭიროა საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობა, ხალხები უნდა გაერთიანდნენ ყველა უმნიშვნელოვანესი პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის საბრძოლველად.

ჩვენ კვლავ ვადასტურებთ, თქვა ნოველამ, მთელი საერთაშორისო მუშათა კლასის ერთიანობის პრინციპს. ჩვენ მხარს დავუჭერთ ხალხთა ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისათვის.

შემდეგ სიტყვა ეძლევა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ვ. ვ. გრიშინს, რომელიც პროფესიული კავშირების სახელით, ჩვენი ქვეყნის მილიონობით მუშისა და მოსამსახურის სახელით გულითადად მიესალმება V კონგრესის მონაწილეებს.

ამხანაგ ვ. ვ. გრიშინის სიტყვა

ძვირფასო კონგრესის ამხანაგო დელეგატებო და სტუმრებო!

მეგობრებო!

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა სახელით, ჩვენი ქვეყნის მილიონობით მუშისა და მოსამსახურის სახელით მხურვალედ, ძმურად მოგესალმოთ თქვენ—პროფკავშირთა მეხუთე მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პროფკავშირული მოძრაობის ხელმძღვანელებსა და აქტივისტებს, მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლებს.

პროფკავშირთა მეხუთე მსოფლიო კონგრესი თვალსაჩინო მოვლენაა მსოფლიო პროფკავშირულ მოძრაობაში, რომელიც მოასწავებს მუშათა კლასის ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ეტაპს. კონგრესის დიდი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი შეაჯამებს შედეგებსა და განაზოგადებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა კლასობრივ გამოსვლათა გამოცდილებას, განსაზღვრავს პროფკავშირთა ამოცანებს მშრომელთა ეკონომიური და სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, იმპერიალისტურ მონოპოლიათა ბატონობის წინააღმდეგ, კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისათვის, მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ადამიანებში დიდი კმაყოფილების გრძნობას იწვევს ის ფაქტი, რომ პროფკავშირთა მეხუთე მსოფლიო კონგრესი მიმდინარეობს მოსკოვში. ჩვენ ეს მიგვაჩნია პატივისცემად საერთაშორისო მუშათა კლასის დიდი ნდობის გამოვლინებად. ჩვენი სამშობლოს—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მშრომელებისა და პროფკავშირებისადმი.

ეს საგულისხმოა, ამხანაგებო, რომ მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის ისტორიაში ჩვენი უდიდესი კონგრესი შეიკრიბა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქში, ქვეყანაში, რომელიც კომუნიზმს აშენებს, ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების სათავეში დგანან მშრომელები, სადაც დამხობილია ბატონიტული კლასები და სამუდამოდ მოსპობილია ხალხისათვის საძულველი ექსპლოატატორული წყობილება, ქვეყანაში, სადაც ცხოვრების უმაღლესი კანონი გახდა დიადი პრინციპი: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის!"

ჩვენს ხალხს წილად ხვდა საპატიო, მაგრამ რთული და ძნელი ამოცანა—პირველმა ისტორიაში პრაქტიკული მაგალითით ცხადეყო, რომ მშრომელებს წარმატებით შეუძლიათ მართონ ქვეყანა, უხელმძღვანელონ სახელმწიფოს, შეუძლიათ შექმნან ახალი საზოგადოება, რომელიც სჯობნის კაპიტალიზმს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში.

საბჭოთა მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ და სახალხო ინტელიგენციამ, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, თავი გამოიჩინეს როგორც დიადმა შემოქმედებითმა ძალამ, დაძლიეს ჩვენი ქვეყნის საუკუნეებრივი ჩამორჩენილობა, შექმნეს მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც აქვს მოწინავე ეკონომიკა, კულტურა და მეცნიერება, დაიცვეს იგი მრავალრიცხოვანი მტრებისაგან, ამასთან ჩვენი ხალხი მუდამ გრძნობდა საზღვარგარეთის ქვეყნების მუშების, მთელი მსოფლიოს მუშების მხარდაჭერასა და მხურვალე სიმპათიას. ახლა მთელი მსოფლიო ხედავს, თუ რა მწვერვალებს შეუძლიათ მიაღწიონ კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულმა მუშებმა და გლეხებმა, რომლებიც გახდნენ თავიანთი ბედის ბატონ-პატრონნი და რომლებიც იბრძვიან მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშით.

საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი შესანიშნავი წარმატებებით ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ამ წარმატებებში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს— საბჭოთა საზოგადოების წამყვან ძალას. ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავთ პროფესიულ კავშირებს.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ასამბლეა

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ჩვენი პროფკავშირები 30-ჯერ და მეტად გაიზარდნენ და ახლა აერთიანებენ 63 მილიონ მშრომელს. საბჭოთა პროფკავშირები ყოველთვის იყვნენ და არიან ახალი საზოგადოების მშენებელთა პირველ რიგებში.

საბჭოთა კავშირი თავისი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნას განიცდის. ჩვენი ხალხი მტკიცედ უყურებს მომავალს. მის წინაშე დასახულია დიადი პერსპექტივები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ, რომელიც ამას წინათ მოეწყო, დასახა კომუნიზმის—ყველაზე სამართლიანი საზოგადოების კონკრეტული და რეალური პროგრამა, საზოგადოებისა, რომლის დროშაზე წარწერილია: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით". კომუნიზმის აშენების პროგრამა ახალ პერსპექტივებს უსახავს მუშათა კლასს, ხალხთა მასებს მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. ეს დიადი პროგრამა ერთსულოვნად მოიწონა მთელმა 220 მილიონიანმა საბჭოთა ხალხმა. სსრ კავშირის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უახლოეს ოც წელიწადში შექმნან კომუნისტური საზოგადოების მძლავრი, ყოველმხრივ განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მიაღწიონ მსოფლიოში ყველაზე მაღალ ცხოვრების დონეს.

დიადი მიზანი—კომუნისტური საზოგადოების აშენება — ყველა საბჭოთა ადამიანში წარმოშობს დიდ ენერგიასა და შრომით ენთუზიაზმს. ახალ საზოგადოებას რომ ვაშენებთ, ვასრულებთ ჩვენს ინტერნაციონალურ მოვალეობას მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე, ხელს ვუწყობთ იმას, რომ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ ჩვენს პლანეტაზე გაიმარჯვოს ყველა ხალხის მშვიდობამ, შრომამ, თავისუფლებამ, თანასწორობამ, ძმობამ და მეგობრობამ.

ძვირფასო ამხანაგებო! პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესი მუშაობას იწყებს რთული საერთაშორისო ვითარების პირობებში.

საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების დიადი წარმატებანი, კოლონიური სისტემის მარცხი, მუშათა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიული მოძრაობის ზრდა იწვევს გააფთრებულ გაბოროტებას საერთაშორისო რეაქციისას, რომელსაც ამერიკის იმპერიალიზმი მეთაურობს. ცხოვრება ცხადყოფს, რომ იმპერიალისტები მზად არიან ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ თავიანთი მოგება, ბატონობა, შეაფერხონ მშვიდობისა და პროგრესის ძალთა განვითარება. სწორედ ამ მიზნებისათვის ისინი ამზადებენ ყველაზე საშინელ დანაშაულს კაცობრიობის წინაშე — მსოფლიო თერმოატომურ ომს. მაგრამ კაცობრიობის დიდი ბედნიერება ის არის, რომ ახლა მშვიდობის ძალები უფრო ძლიერი არიან ომის ძალებზე.

მთელი კაცობრიობის წინაშე საბჭოთა კავშირის მშრომელებს თავიანთ წმიდათა წმიდა მოვალეობად მიაჩნიათ ის, რომ დაუცხრომლად იშრომონ თავიანთი სამშობლოსა და მთელი სოციალისტური ბანაკის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის. ისინი ამას გააკეთებენ მთელი შეუპოვრობით, სანამ არ იქნება მიღწეული საყოველთაო და სრული განიარაღება, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით. მაგრამ განიარაღებისათვის რომ ვიბრძვით, ჩვენ არ ვივიწყებთ იმპერიალისტთა მუხანათურ ზრახვებს, რომლებიც ძალით ემუქრებიან საბჭოთა კავშირს მისი იმ წინადადების პასუხად, რომ დაიდოს საზავო ხელშეკრულება ორ გერმანულ სახელმწიფოსთან და ამ საფუძველზე მოწესრიგდეს დასავლეთ ბერლინის მდგომარეობა.

„... მილიონობით ადამიანს,—აღნიშნავს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — ღრმად სწამს, რომ ურყევია ჩვენი სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკა, დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირი არასოდეს არ დაადგება აგრესიული ომის გაჩაღების გზას. ამავე დროს ხალხებს სჯერათ საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერებისა, მიაჩნიათ იგი საიმედო დაბრკოლებად იმპერიალისტების მიერ ახალი ომის გაჩაღების გზაზე. ჩვენი მოვალეობაა ყველა ქვეყნის ხალხების წინაშე გავამართლოთ ეს იმედი".

მტკიცე და გაერთიანებული მოქმედებით ხალხებს შეუძლიათ და კიდეც უნდა ალაგმონ იმპერიალისტები, ჩაფუშონ მათი დანაშაულებრივი გეგმები.

თანამედროვე ვითარება უსახავს პროფკავშირებს — მუშათა კლასის ყველაზე მასობრივ ორგანიზაციებს დიდმნიშვნელოვან ამოცანებს მშვიდობისათვის, გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესის შემდეგ პერიოდში საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა, შეიძინა ბრძოლის ახალი გამოცდილება და დღეს მძლავრი საზოგადოებრივი ძალაა.

მუშათა კლასის ბრძოლის ნამდვილი მედროშეა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია. ყველა კონტინენტის მილიონობით მშრომელს იგი მიაჩნია ურყევ მებრძოლად მშვიდობისათვის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, მუშათა კლასის სოციალურ-ეკონომიური მოთხოვნილებისათვის, მისი რიგების ყოველი ღონისძიებით შეკავშირებისათვის.

პროფკავშირთა მოქმედების ერთიანობის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ საერთაშორისო მუშათა კლასის სხვადასხვა რაზმის შემდგომ შეკავშირებას, პროფესიულ კავშირთა ძმურ თანამშრომლობას. საბჭოთა პროფკავშირები, ისევე როგორც ბევრი სხვა ქვეყნის პროფკავშირები, ესწრაფვიან მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის რიგების ერთიანობის განმტკიცებას, ისინი ყოველთვის იმათთან არიან, ვინც იბრძვის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

საბჭოთა პროფკავშირები კვლავაც განამტკიცებენ პრინციპულ კლასობრივ საფუძველზე საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობას ბრძოლაში კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის, დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ამხანაგებო! ეს კონგრესი საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის საბრძოლო ძალების ნამდვილად მსოფლიო დათვალიერებაა. კონგრესი მოწოდებულია ყოველმხრივ ორიენტაცია მისცეს პროფესიულ კავშირთა — ყველა მშრომელის საქმიანობას. საბჭოთა პროფკავშირები დარწმუნებული არიან, რომ კონგრესი და მის მიერ შემუშავებული გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობენ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის შემდგომ შეკავშირებას მშრომელ ადამიანთა ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის მშრომელთა სახელით პროფკავშირთა მეხუთე მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს ვუსურვო სრული წარმატება მათ წინაშე დასახულ დიდ და პასუხსაგებ ამოცანათა გადაჭრაში.

გაუმარჯოს პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესს!

გაუმარჯოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას!

გაუმარჯოს მუშათა კლასის საერთაშორისო ერთობასა და სოლიდარობას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშვიდობას!

(ამხანაგ ვ. ვ. გრიშინის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს და არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით).

• • •

ვ. ვ. გრიშინის გამოსვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

1. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობა და პროფკავშირულ ორგანიზაციათა თანამედროვე ამოცანები მშვიდობისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, მშრომელთა ეკონომიური და სოციალური მოთხოვნების დაცვისათვის ბრძოლაში.
2. პროფკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობისა და სოლიდარობის გაძლიერება ხალხთა ბრძოლაში კოლონიალიზმის ლიკვიდაციისათვის.
3. საფინანსო ანგარიში.
4. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

მიიღეს აგრეთვე კონგრესის რეგლამენტი და მუშაობის წესრიგი.

მოხსენება პირველი საკითხის გამო გააკეთა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა, რომელსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

ამხანაგ ლუი საიანის მოხსენება

გადაწყვეტილებანი, რომლებიც პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესმა მიიღო 1957 წლის ოქტომბერში ლაიფციგში, ამბობს ლუი საიანი, გასული ოთხი წლის მანძილზე საფუძვლად ედო პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აქტიურ საქმიანობას საერთაშორისო მუშათა კლასის საკეთილდღეოდ, მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლას. ამ გადაწყვეტილებათა სისწორეს მუდამ ადასტურებდნენ საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის ფაქტები და გამოცდილება.

ლაიფციგის კონგრესმა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას დაუსახა ამოცანა — აქტიურად იბრძოლოს მშვიდობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, რომელსაც მშვიდობისათვის ბრძოლა მიაჩნდა თავის ძირითად და მუდმივ ამოცანად ახლანდელ განსაკუთრებით მძიმე საერთაშორისო ვითარებაში, ამით ასრულებდა მისთვის მიცემულ განაწესს.

ნაკისრ ვალდებულებათა დაცვამ, მშრომელთა კლასობრივი პრინციპებისა და ერთობისადმი ერთგულებამ, სწორმა ორიენტაციამ საშუალება მისცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას კიდევ უფრო გაეძლიერებინა თავისი რიგები უკანასკნელ პერიოდში; დღეს იგი აერთიანებს ხუთი კონტინენტის 107 მილიონზე მეტ მშრომელს, რომლებიც ცხოვრობენ სხვადასხვა ეკონომიური და საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნებში.

სწორედ ამ სულისკვეთებით ამზადებდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესს ყველა ქვეყნის მშრომელებს შორის. მშრომელთა განსახილველად მან გამოიტანა თანამედროვე ეტაპზე პროფკავშირთა მოქმედების პროგრამის პროექტი მშრომელთა ინტერესებისა და უფლებების დასაცავად.

ამ პროექტმა, რომელიც ფართოდ გავრცელდა ხუთი კონტინენტის მშრომელებში და ყველა მიმართულების პროფკავშირებმა განიხილეს, შესაძლებლობა მოგვცა მოგვეწყო ფართო მოსამზადებელი დისკუსია ისეთ საკითხებზე, რომლებიც დღეს საერთაშორისო პროფკავშირულ მოძრაობას აინტერესებს, სახელდობრ: ომის თავიდან აცილება, მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება; იმპერიალიზმის დამარცხება; კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაცია; მონოპოლიათა ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მშრომელთა ეკონომიური და სოციალური მოთხოვნების დაცვა და დაკმაყოფილება; პროფკავშირულ უფლებათა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვა და გაფართოება; ერთობისა და საერთაშორისო მუშათა სოლიდარობის განმტკიცება.

პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესი, ამბობს შემდეგ ლუი საიანი, იკრიბება პირობებში, როცა მსოფლიოში შეიქმნა ორი საწინააღმდეგო საზოგადოებრივი სისტემა, როცა უკვე კაცობრიობის მესამედი დაადგა ახალი ცხოვრების მშენებლობის გზას ნამდვილი დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის, ადამიანთა კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. განვლილმა პერიოდმა ცხადყო სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალებისა და მუშათა მოძრაობის უპირატესობა რეაქციისა და ომის ძალებთან შედარებით.

ეკონომიურ, სოციალურ, სამეცნიერო დარგებში მთელი სოციალისტური ბანაკის ყოველმხრივი სწრაფი და გეგმაზომიერი აღმავლობა, რომელიც აღინიშნა მშვიდობიანი ისტორიული გამარჯვებებით, სულ უფრო განსაცვიფრებელი კონტრასტია კაპიტალისტური სისტემის ანარქიული და უთანაბრო განვითარებისა და ეკონომიური ცვალებადობის ფონზე.

ლუი საიანი ამბობს, რომ თანამედროვეობის ყველაზე საჭირბოროტო და დიდმნიშვნელოვანი საკითხია მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების საკითხი. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო დაძაბულობა კვლავ გაძლიერდა. საფრთხე ახალი ომისა, რომელიც გარდუვალად იქნება ატომური ომი და გაანადგურებს მილიონობით ადამიანსა და ბევრ ხალხს, ემუქრება კაცობრიობას.

ეს მუქარა შედეგია ძალისა და პროვოკაციების პოლიტიკისა, რომელსაც საანგარიშო ოთხი წლის განმავლობაში კვლავ ახორციელებდა ამერიკის იმპერიალიზმი ევროპაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში, შედეგია კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტების უმაგალითო გადიდებისა. ეს მუქარაა ის, რომ დასავლეთის სახელმწიფოები სისტემატურად ეწინააღმდეგებიან ყველა საბჭოთა წინადადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, ყველა სახეობის ატომური იარაღის აკრძალვის და, ამით, ამ იარაღის (რა ფორმითაც უნდა იყოს) ყველა გამოცდის აკრძალვის შესახებ.

ახალი ომის მუქარას შეიცავს ის, რომ იმპერიალისტები სისტემატურად უარს ამბობენ ხელი მოაწერონ გერმანიის საზავო ხელშეკრულებას.

ლუი საიანმა შემდეგ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი იძულებული იყო განეხორციელებინა ატომურ გამოცდათა სერია, რათა განამტკიცოს თავისი უშიშროება და, საბოლოო ანგარიშში, სერიოზული გაფრთხილება მისცეს შესაძლო აგრესორს და შეინარჩუნოს მშვიდობა. ამჟამად, განაგრძო მან, ომის ატეხის სერიოზულ საფრთხეს ქმნის არა ატომური იარაღის გამოცდა, არამედ თვით ამ იარაღის არსებობა. ჩვენ ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამ საფრთხეს შეიძლება მოეღოს ბოლო, საჭიროა მხოლოდ აიკრძალოს ამ საშინელი იარაღის წარმოება და გამოყენება საყოველთაო და სრული განიარაღების ჩარჩოებში.

ლუი საიანმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი მშრომელთა და პროფკავშირთა ერთობლივი მოქმედება, რომ მუშათა კლასის რიგებში ადგილი აქვს ომის საფრთხის ჯეროვან შეუფასებლობას და რომ ამ შეუფასებლობას უნდა ვებრძოლოთ.

საერთაშორისო მუშათა კლასი, ამბობს იგი, თანამედროვეობის წამყვანი ძალაა. ისტორიამ მას დააკისრა ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა მშვიდობის, კაცობრიობის, ყველა მომავალი თაობის ბედისათვის, იგი მუდამ უნდა იჩენდეს შეუნელებელ სიფხიზლეს, რომ აიძულოს ომის ავბედითი ძალები უკან დაიხიონ.

საჭიროა დავრაზმოთ მშრომელთა და პროფკავშირთა მთელი ძალები სხვადასხვა ეკონომიური და საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

მთელი მსოფლიოს მშრომელებმა იციან, თქვა შემდეგ ლუი საიანმა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ მიიღო კომუნიზმის მშენებლობის 20 წლის პროგრამა. ეს პროგრამა მიიღო აგრეთვე სსრ კავშირის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ. იგი გახდა პროგრამა მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელიც კომუნიზმს აშენებს თავის ქვეყანაში.

საერთაშორისო ბურჟუაზია მეტად შეშფოთებულია ამ პროგრამის რეალიზაციის გეგმებით.

ეს პროგრამა საბჭოთა ხალხების ბედნიერებისა და მშვიდობის ნამდვილი ქარტიაა, რომელიც მთლიანად ემყარება პრინციპს „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის" და გამსჭვალულია ზრუნვით მშრომელი მასების შრომისა და ცხოვრების პირობების განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის. იგი უზრუნველყოფს ადამიანის სულიერ აყვავებას, პროფკავშირთა მასობრივი ორგანიზაციების ნამდვილ დემოკრატიასა და მისი როლის შემდგომ ამაღლებას.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ პროგრამის შესრულების შედეგად საბჭოთა ადამიანები გადადგამენ გადამწყვეტ ნაბიჯს კომუნისტური პრინციპის — „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით" — განხორციელების გზაზე. გვიჩვენებენ ისტორიაში უბადლო მაგალითს, თუ როგორ უზრუნველყოფს საზოგადოება ადამიანის მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებას, მისი საზოგადოებრივი შეგნებისა და პირადი ნიჭის განუწყვეტელ აყვავებას.

ლუი საიანმა თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა მუშათა კლასის ბრძოლას მონოპოლიების წინააღმდეგ. იგი შეეხო მუშათა უმნიშვნელოვანეს მოთხოვნებს. ეს მოთხოვნებია:

— გადიდდეს ხელფასი და მისი გარანტიები, დაწესდეს ხელფასის გარანტირებული მინიმუმი;

—მოისპოს შრომის ანაზღაურების ყველა პატერნალისტური ფორმა; გადიდდეს რეალური ხელფასი და დაწესდეს პროფკავშირების კონტროლი მშრომელთა ხელფასის ოდენობის განსაზღვრის დარგში.

— შემცირდეს სამუშაო დროის ხანგრძლივობა ხელფასის შეუმცირებლად;

— დამკვიდრდეს და გაფართოვდეს გარანტიები უმუშევრობისა და დათხოვნების წინააღმდეგ;

— გაფართოვდეს კოლექტიური ხელშეკრულების დადების უფლებანი, რომელიც მოიცავს მშრომელთა მთელ ინტერესებს (დაწყებული საწარმოში მისვლით და დამთავრებული საწარმოდან წასვლით) და სხვ.

მომხსენებელი შემდეგ ლაპარაკობს მუშათა კლასის საერთაშორისო ერთიანობასა და სოლიდარობაზე, რომელთა დახმარებით მუშათა კლასი განამტკიცებს და ამრავლებს თავის ძალებს.

მთლიანად, აღნიშნავს ლუი საიანი, პროფკავშირული მოძრაობა განმტკიცდა მთელ მსოფლიოში. იგი რომ გაერთიანებული იყოს, მიაღწევდა კიდევ მეტ ძლიერებას. ყოველი სოციალისტური ქვეყნის პროფკავშირულ ორგანიზაციათა ერთიანობა და ურთიერთობა გვიჩვენებს, თუ რა შესაძლებლობანი არსებობს მუშათა კლასის ერთიანი და გაერთიანებული ორგანიზაციებისათვის.

ლუი საიანმა ილაპარაკა საერთაშორისო პროფკავშირული თანამშრომლობის პრინციპებზე, რომლებიც დაადგინა IV კონგრესმა და რომელთა ერთგულიც რჩება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია. ეს პრინციპებია: ურთიერთ პატივისცემა და ეროვნულ პროფკავშირულ ორგანიზაციათა და დარგობლივ პროფკავშირთა საქმეებში ჩაურევლობა; იმ საკითხების განსაზღვრა, რომელთა მიხედვით შეიძლება გაერთიანდნენ მშრომელები; მიზნებისა და საერთო ლოზუნგების დაწესება, იმ პუნქტების ნებაყოფლობით გამორიცხვა, რომლებზეც არ არის შეთანხმება.

დასასრულ ლუი საიანმა განაცხადა:

— არავითარი ეჭვი არ არის, რომ პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესი ხელს შეუწყობს საერთაშორისო პროფკავშირული ერთიანობის განმტკიცებას. ყველა მშრომელისა და ყველა პროფკავშირის, როგორიც უნდა იყოს მათი მიმართულება, წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობა კონგრესში შესაძლებლობას გვაძლევს განვიხილოთ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც დიდად აღელვებენ დღეს სოციალისტური, კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელებს.

ჩვენ უდიდეს ძალას წარმოვადგენთ. იგი ურღვევი იქნება, თუ ჩვენ ვიქნებით მტკიცედ გაერთიანებული, თუ შევქმნით მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის, საყოველთაო მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საერთო ფრონტს.

ერთად გადაჭრით ვიბრძოლოთ ერთიანობისათვის, ვამხილოთ კაპიტალისტური მონოპოლიებისა და მათი აგენტების მანევრები, რომლებსაც გათიშვა შეაქვთ მუშათა კლასის რიგებში. ამხანაგებო, გავაერთიანოთ მთელი ჩვენი ძალები, რომ კაცობრიობას გავუხსნათ მშვიდობიანი მომავლის, აყვავების გზა, რომ დავამსხვრიოთ კოლონიალიზმისა და ექსპლოატაციის ბორკილი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, გაერთიანდით მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და ადამიანთა ბედნიერებისათვის ბრძოლაში!

ამხანაგ ლუი საიანის მოხსენებით დამთავრდა კონგრესის 4 დეკემბრის სხდომა.

5 დეკემბერს კონგრესი განაგრძობს მუშაობას.

(საქტესი).

ქობულეთის რაიონის სოფელ ულიანოვკის კალინინის სახელობის მეციტრუსეებმა ვალდებულება იკისრეს ნაცვლად 215 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდონ 300 ტონა მანდარინი. 600-650 კილოგრამ ნაყოფს კრეფს ყოველდღიურად არტელის მოწინავე მეციტრუსე ფატი თურმანიძე. სურათზე: ფ. თურმანიძე.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საქტესის ფოტოქრონიკა).

კომუნისტების წინამძღოლი

ნარკვევი

ფოთლები ფარფატით ეფინებოდა მიწას. გეგონებოდათ, ბუნება კალთას იბერტყავსო.

კალთას და მერე როგორს, სიუხვით სავსეს, მადლიანს!

ორტრების ხევი გაივაკებს თუ არა, გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენი შრომის" ველ-მინდვრები იწყება.

გვიანი შემოდგომის მზიანი, თბილი დღე იყო.

ხევისპირას ბილიკს მიჰყვებოდა ვახტანგ გოგშელიძე — საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

ბაღის ბოლოს თავსაფარგადაგდებული ახალგაზრდა ქალი შემოხვდა. სოფლის ბიბლიოთეკარ მარიამ ქუჩოშვილს გაზეთები ამოეღლიავებინა და სადღაც მიეშურებოდა. მდივანმა შეაჩერა.

— სად ყოფილხარ, მარიამ?

— ბრიგადაში, მორიგი აგიტსაუბარი მქონდა!

— რაზე ისაუბრეთ?

— პარტიის პროგრამაზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის საკითხებს გავეცანით და...

— ჰოო, რა თქვეს!

აგიტატორმა ბლოკნოტი გადაშალა.

— ნიკოლაანთ კატომ თქვა, ჩვენმა მეზობლებმა ზედუბნელებმა წელს 30 ჰექტარი შაქრის ჭარხალი ყუბანელი მექანიზატორის სვეტლიჩნის მეთოდით დაამუშავეს და ცენტნერი ჭარხლის მიღებაზე შვიდჯერ ნაკლები კაცდღე დახარჯეს, ვიდრე სხვა ნაკვეთებზეო. ჩვენთან კი ამ მეთოდის დასანერგავად ჯერ არაფერი არ კეთდებაო.

— მართალი უთქვამს ეკატერინე ნიკოლაშვილს. ეს მეტად საგულისხმო შენიშვნაა! — და პარტბიუროს მდივანმა უბის წიგნაკი გადაშალა ჩასაწერად.

— კიდევ?

— გიორგი ტერაშვილი გაკიცხეს, პირველ ბრიგადაში მარტო მან ვერ შეასრულა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმა...

ამ საუბარში იყვნენ პარტბიუროს მდივანი და აგიტატორი, როცა თავს პატარა კოლმეურნე წამოადგათ, სახეზე რაღაც წყენა ემჩნეოდა.

— ჩიტა ბიძიას გაუმარჯოს! — დაასწრო გოგშელიძემ.

— სულ გამარჯვებული გვეყოლოთ, მაგრამ ერთი ეს მითხარით, რეზოს რატომ ათამამებთ ასე? — აღშფოთებას ვერ მალავდა მოხუცი.

— რომელ რეზოს? — იკითხა პარტბიუროს მდივანმა.

— ბასილიძეს, ჩვენს ბრიგადირს.

— რაო?!

— სახლში წადი, დაისვენე, ჩალის დაბინავებას ჩვენც ავუვლით, ახალგაზრდებიო!

— მერე აქ რა არის საწყენი, დაისვენე, კაცო! — გაეღიმა მდივანს.

მოხუცმა დაკოჟრილი მარჯვენა მხარზე დაადო პარტბიუროს მდივანს, შუბლზე ნაოჭები გადიყარა, მხრები შეიბერტყა და თითქოს საზეიმოდ მიმართა:

— დასვენება ადვილი საქმეა. მე კი ის მინდა, რომ ჩემი სიცოცხლის დარჩენილი ყოველი დღეც კი კომუნიზმის საქმეს ემსახუროს!

მდივანმა ნათქვამი მოუწონა კომუნისტ ჩიტო ფოსურს; აგიტატორ მარიამ ქუჩოშვილს კი მიუგო, კატოს და მისი ამხანაგების შენიშვნების გამო პარტბიურო კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად საჭირო ზომებს მიიღებსო. მერე ბლოკნოტი სასწრაფოდ შეინახა და შეწყვეტილი გზა განაგრძო.

ნაშუადღევს პარტბიუროს მდივანი კომუნისტ ბრიგადირს რევაზ ბასილიძეს შეხვდა. მდივანმა ჩიტა ფოსურის საყვედური შეახსენა. ბასილიძე უმალ მიხვდა თავის „შეცდომას".

— გამოვასწორებ! — ისღა თქვა და სიტყვა სიმინდზე ჩამოუგდო.

— სიმინდის ასეთი მოსავალი წინათ არასდროს მოგვიყვანია.

— საშუალოდ რამდენი გამოგდით ჰექტარზე?

— 64 ცენტნერს აჭარბებს მარცვლად.

... **პარტიული** ბიუროს ოთახის ფანჯრებიდან კანტორის ეზოს გვიან ღამემდე ეფრქვეოდა შუქი, ბაღ-ვენახებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოთა მიმდინარეობის განხილვამ გულმოდგინე მსჯელობა და ცხარე კამათი გამოიწვია.

აგრონომმა ოთარ თინაძემ ნაკლოვანებათა მიზეზები რომ ჩამოთვალა, სახვალიო წინადადებებიც წამოაყენა. ჩამორჩენას უამისოდ ვერ დავძლევთო.

მერე გამგეობის თავმჯდომარემ შოთა ეცადაშვილმა უფრო მეტი ნათელი მოჰფინა საქმეს. და განა ბევრი ილაპარაკა! ახალგაზრდაა, მაგრამ მთელ რაიონში საკოლმეურნეო საქმის კარგ ორგანიზატორად ითვლება. ეს სიტყვაძუნწი კაცი, პირდაპირობითაც არის ცნობილი და არც სხვისი ბევრი ლაპარაკი უყვარს. ადამიანებს პრაქტიკული შედეგებით აფასებსო, ამბობენ მასზე.

ბიუროს სხდომა იქამდე გაგრძელდა, ვიდრე ბაღ-ვენახებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების თითოეული წვრილმანი არ გამოალაგეს და კონკრეტულ ღონისძიებებზე არ შეთანხმდნენ.

ფლავში მეორედ პარტიის გორის რაიკომის მდივან იაკობ ტოლიაშვილთან ერთად ვიყავი.

პარტბიუროს მდივნის ოთახში ღუმელი გიზგიზებდა, მინდვრიდან მოსულ თოვლით შეფიფქულ კომუნისტებს კარგ გუნებაზე აყენებდა.

სიტყვამ მოიტანა, და საუბარი ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაზე ჩამოვარდა.

საუბარში კომუნისტი შაქრო მახნიაშვილი ჩაერია.

—ადრე გაზაფხულზე ბრიგადებს რომ ვაკომპლექტებდით, — გაიხსენა მან, — საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებიდან და განზე გამდგარი ახალგაზრდებიდან ხუთი ახალი რგოლი შეიქმნა. უნდა ითქვას, რომ მათ ცუდად როდი იმუშავეს. მირიან ტატულაშვილის ახალგაზრდულმა რგოლმა სამ ჰექტარს მოუარა და ჰექტარზე 100 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. იმიტომ ვამბობ, რომ თუ კომუნისტები მეტად ვიზრუნებთ ახალგაზრდობაზე, ამაგი არ დაგვეკარგება, ჩვენც გაგვისწრებენ, სასახელონი იქნებიან შრომასა და ცხოვრებაში.

შემდეგ კომუნისტებმა მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის საფუძვლის ჩაყრის საკითხებზე ილაპარაკეს.

—პირველ რიგში,—შეთანხმდნენ ისინი,—ბაღ-ვენახებში საზამთრო სამუშაოები დავაჩქაროთ, ყველაფერი მომზადებულია და ახალი ბაღ-ვენახების გაშენების საქმესაც სახვალიოდ ნუ გადავდებთ!

—იანვარი საკოლმეურნეო ტექნიკის შეკეთებას და გამოყოფილი თესლის გაწმენდა-გასუფთავებას მოვახმაროთ!

—ისე მოვაწყოთ საქმე, რომ სილოსის დახმარებით წველადობის შემცირებასაც დავუდოთ საზღვარი!

თქვენს წინამძღოლზე რას გვეტყვით, რომ უთხრათ ფლაველ კომუნისტებს, ყველა ერთნაირად მოგიგებს — სოფელში არ არის ისეთი კედელ-კუნჭული, სადაც ჩვენს ვახტანგს არ შეეხედოს, თანაბრად არ განეცადოს და გაეზიარებინოს მისი დიდი სიხარულიც და პატარა სიმწარეც. ჭირსა და ლხინში ხალხისაგან განუყრელია და ხალხიც არ რჩება ვალში.

წრფელი, ალალმართალია ეს სიტყვები, ან ზედმეტი როგორ იქნება სოფლის თავკაცზე: შინ მიბრუნებულიც კვლავ საზრუნავზეა გადაგებული, ექვსივე შვილს სათითაოდ მიუალერსებს, ზოგს შრომის ამბავს გამოჰკითხავს, ზოგსაც დღიურს გაუსინჯავს—აბა, დღეს როგორ იყოჩაღე სკოლაშიო. სულ პატარა ვანოსაგან კი მზრუნველი მამა ჯერ „ანგარიშს" არ თხოულობს. დასწვდება ბუთხუზას და სიყვარულით იკრავს გულში, ისიც უმატებს ტიკტიკს და ბედნიერ დედ-მამას მშობლიური სიამაყის ახალი, თბილი ტალღები ეფხნება გულზე.

...მერე კი, ყველას რომ მიეძინება, ვახტანგი საწერ მაგიდას მიუჯდება და მთელი დღის ნაფიქრალი სახვალიო გეგმებად აისახება პარტბიუროს მდივნის უბის წიგნაკში...

მ. ხეთაგური.

სოფ. ფლავი, გორის რაიონი,
დეკემბერი.

გაბედული აზრი განხორციელებულია

მოსკოვი, 3 დეკემბერი. (საქტესი). ის იდეა, რომ ჩრდილოეთის მდინარეების პეჩორისა და ვიჩეგდის წყლის ნაწილი კამისაკენ წასულიყო, დიდი ხანია წამოაყენეს. ამით გათვალისწინებული იყო გაედიდებინათ ვოლგის წყალუხვობა, შეექმნათ დამატებითი შესაძლებლობა იმიერვოლგეთის გვალვიანი მიწების დიდი ფართობების მორწყვისათვის, მოეხდინათ კასპიის ზღვის დონის სტაბილიზაცია, არსებითად გაედიდებინათ ელექტროენერგიის გამომუშავება ვოლგა-კამის კასკადის ჰიდროსადგურებში, გაეუმჯობესებინათ და განევითარებინათ წყლის სატრანსპორტო გზები. ჰიდრონაგებობათა საპროექტო ინსტიტუტმა დაასაბუთა ამ გაბედული იდეის განხორციელების სახალხო-სამეურნეო მიზანშეწონილობა.

ახლა ინსტიტუტს დავალებული აქვს შეიმუშაოს საპროექტო დავალება. ინჟინრები აწარმოებენ დეტალურ კვლევასა და ძიებას კომის ასს რესპუბლიკაში და ჩრდილოეთ ურალის რაიონებში, სადაც გათვალისწინებულია კაშხალის აგება, წყალსაცავის შექმნა და არხების გაყვანა. ამავე დროს იწარმოება დეტალური საინჟინრო-ეკონომიური გაანგარიშებანი.

— მეტად მნიშვნელოვანია, თქვა პროექტის მთავარმა ინჟინერმა გ. ლ. სარუხანოვმა, — რომ გადაწყვეტილება გრანდიოზულ ნაგებობათა დაპროექტების შესახებ ჩრდილოეთის მდინარეთა წყლების სამხრეთისაკენ გადაგდებისათვის მიღებულია სკკპ XXII ყრილობის დამთავრებისთანავე. ახლო მომავლის ეს მშენებლობა შეესაბამება იმ გაქანებასა და მაღალ ტექნიკურ დონეს, რითაც ხასიათდება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პერიოდი.

გამოფენა „ამერიკის ტრანსპორტი"

ხარკოვი, 3 დეკემბერი. (საქტესი). აქ გაიხსნა გამოფენა „ამერიკის შეერთებული შტატების ტრანსპორტი", რომელიც მოეწყო სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კულტურის, ტექნიკისა და განათლების დარგში გაცვლის შესახებ შეთანხმების საფუძველზე

შენდება, მშვენდება!

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ როგორ იზრდება, შენდება და მშვენდება ჩვენი ქალაქები. მარცხნივ — ცადაწვდილი ამწეები თავს დაჰგომია ახალ კვარტალს ერწოს ქუჩაზე (თბილისი, ლენინის რაიონი). მარჯვნივ — ახალი ხიდი გორში.

მხატვარი ლ. კაიდარაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ქარიშხლიან დღეებში...

მოსკოვის გმირული დაცვის 20 წლისთავის გამო

ოცი წლის წინათ საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურეს ფაშისტური გერმანიის ურდოები ქალაქ მოსკოვის მისადგომებთან.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ისტორიაში ბრწყინვალე ადგილი უკავია მოსკოვის გმირულ დაცვას. ჩვენი ქვეყნის გულის — მოსკოვის კარიბჭესთან ფაშისტ ბარბაროსებმა იგემეს საბჭოთა არმიისა და მშობლიური ტექნიკის გამანადგურებელი დარტყმის ძალა.

სამამულო ომის პირველ დღიდან გერმანიის სამხედრო სპეციალისტები საქვეყნოდ გაჰყვიროდნენ, რომ „ელვისებური" ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დამთავრებული იქნება ზამთრის დადგომამდე, მაგრამ მტერი სასტიკად მოტყუვდა. მისი ოცნება ფუჭი გამოდგა.

ომის პირველ პერიოდში მტერმა უპირატესობას მიაღწია. მაგრამ საბჭოთა არმია გმირულ მოგერიებით ბრძოლებში სისხლიდან სცლიდა მტერს და კონტრშეტევას ამზადებდა. ცნობილია, რომ მტრის სტრატეგიული გეგმის მთავარ ნაწილს მოსკოვისა და ლენინგრადის დაპყრობა შეადგენდა. ამიტომ მან მთავარი დარტყმა მოსკოვის მიმართულებით განავითარა. მტერმა მოსკოვზე თავდასხმა დაიწყო ავიაციით 1941 წლის 22 ივლისს, ომის დაწყების ერთი თვის თავზე. ამ დღეს მტერმა 250 ბომბდამშენი წარმართა მოსკოვზე. მაგრამ მისი დაცვა ისე საიმედოდ იყო მოწყობილი, რომ გერმანელმა პირატებმა ვერ შესძლეს ქალაქში მასობრივი შეჭრა. მოსკოვს მამაცურად იცავდა ჩვენი საზენიტო არტილერია.

დედაქალაქის დაცვაში ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების შვილებთან ერთად გარკვეული წვლილი შეიტანა ჩვენმა თანამემამულემ საზენიტო დივიზიის მეთაურმა მ. კიკნაძემ. მისი დივიზია გმირულად იცავდა მოსკოვს, ბაკოვკის მიმართულებით. მ. კიკნაძის არტილერისტების ზუსტი ცეცხლის შედეგად არა ერთმა გერმანელმა ჰპოვა სამარე ბაკოვკის მიდამოებში. მის მეზობლად მამაცურად იგერიებდა მტრის ავიაციის თავდასხმას საზენიტო ტყვიამფრქვევი პოლკოვნიკ ა. ნაკაშიძის მეთაურობით.

1941 წლის შემოდგომაზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ჯარები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა, მტერი მოსკოვისაკენ გამოიჭრა. ამიტომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა დასახა გადამწყვეტი ღონისძიებები, ჰიტლერელთა წინსვლის შესაჩერებლად. მოსკოვის მისადგომებზე აშენდა თავდაცვის ზღუდეები.

მტერმა 1941 წლის სექტემბერში დაიწყო მზადება ახალ შეტევაზე გადასვლისათვის. მისი მთავარი მიზანი იყო გარემოცვაში მოექცია საბჭოთა ჯარები, რომლებიც ეწეოდნენ დაძაბულ ბრძოლებს ვიაზმისა და ბრიანსკის მისადგომებთან და მოესპო იგი, რათა უზრუნველეყო წინსვლა. ამ ამოცანის განსახორციელებლად მტერმა თავი მოუყარა 75 დივიზიამდე, მათ შორის იყო — 14 სატანკო და 8 მოტორიზებული დივიზია. სახმელეთო არმიის მოქმედებას ჰაერიდან მხარს უჭერდა ავიაცია.

საბჭოთა სარდლობისათვის ცნობილი გახდა ის ამბავი, რომ ჰიტლერელები ემზადებიან გრანდიოზული შეტევისათვის. მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები. მაგრამ უპირატესობა განსაკუთრებით საბრძოლო ტექნიკის მხრივ ჯერ კიდევ მტრის მხარეზე იყო. ამიტომ ჩვენ ჯარებს მაშინ მოუხდა უდიდესი ნებისყოფისა და გმირობის გამოჩენა მტრის გააფთრებული შეტევის შეჩერებისათვის.

1941 წლის 30 სექტემბერს მტერი გადმოვიდა საერთო შეტევაზე. გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები. მაშინ მთელი მსოფლიოს პროგრესიული კაცობრიობის ყურადღება მიპყრობილი იყო საბჭოთა ჯარების გმირული ბრძოლებისადმი.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა და უმაღლესმა მთავარსარდლობამ მოსკოვის მისადგომები მიუვალ ციხე-სიმაგრედ გადააქცია. შეიქმნა დამატებით თავდაცვის ზღუდეები, ქალაქში აიგო ბარიკადები; ფრონტისაკენ შეუწყვეტლივ მიეშურებოდნენ ახალი შენაერთები და საბრძოლო ტექნიკა. მოსკოვის დაცვისათვის ჩვენი სამშობლოს მრავალეროვანი ხალხების შვილებთან ერთად თავგანწირვით იბრძოდნენ მზიური საქართველოს შვილებიც. გუდერიანის ქებული ტანკები ზუსტი ცეცხლის შედეგად რკინის ნაგლეჯებად აქცია არტილერიამ, რომელსაც გ. ლესელიძე მეთაურობდა. ფაშისტური ურდოების გააფთრებულ იერიშებს მამაცურად იგერიებდა პ. ჩანჩიბაძის დივიზია.

ასევე ბევრი სასახელო ეპიზოდები ჩასწერა მოსკოვის დაცვის უკვდავ ისტორიაში გ. კანაჩაძის დივიზიამ, რომელმაც უკუაგდო ფაშისტ ბარბაროსების იერიშები მოჟაისკის მისადგომებთან. სახელოვნად იბრძოდნენ საქართველოდან რიგითი მეომრები — ტანკისტები და არტილერისტები, მფრინავები...

მტერი ჩვენი ჯარების უძლიერეს წინააღმდეგობას წააწყდა. რამდენიმე დღე გრძელდებოდა დაძაბული ბრძოლები. მიუხედავად ჭარბი ძალებისა, მტერმა ვერ შესძლო საბჭოთა არმიის ფრონტის გარღვევა. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა და უმაღლესმა მთავარსარდლობამ მოსკოვში 19 ოქტომბერს საალყო წესები გამოაცხადა. დიდი და პატარა, ქალი და კაცი სიცოცხლის დაუზოგავად იდგნენ საბჭოთა არმიასთან ერთად მშობლიური ქალაქის დასაცავად.

დაძაბული ბრძოლები გრძელდებოდა სხვა ფრონტებზედაც. ჩვენი ჯარების გმირული წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, მაგრამ მტერი მაინც საშიში რჩებოდა. მას სულ ახალი შენაერთები მოყავდა მოსკოვის მიმართულებით. ფაშისტური გერმანიის გენერლები სულ უფრო თავს უყრიდნენ ჯარებსა და საბრძოლო ტექნიკას, ცდილობდნენ ვიწრო ფრონტზე მიეტანათ იერიში და განევითარებინათ შეტევა საბჭოთა ჯარების საბრძოლო განლაგებაზე. მაგრამ ჩვენი ჯარების შეუპოვარმა წინააღმდეგობამ მათი ცდები ჩაშალა, სამუდამოდ დაასამარა „ელვისებური" ომის ვერაგული ზრახვები. ამრიგად, გერმანიის ჯარების „გრანდიოზული" შეტევა მოსკოვზე ოქტომბრის დამლევს ჩაიფუშა, რამაც დიდი დაბნეულობა გამოიწვია ფაშისტური არმიის სარდლობაში.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ემზადებოდა იმისათვის, რომ მტრის შემოტევა შეეჩერებინა და კონტრშეტევაზე გადასულიყო.

საბჭოთა ჯარებმა 6 დეკემბერს დაიწყეს კონტრშეტევაზე გადასვლა. მთავარი დარტყმა განსაკუთრებით ძლიერი შეიქნა რიაზანის მიმართულებით, სადაც მტერი ცდილობდა საბჭოთა ჯარების შეტევა შეეჩერებინა და დაკარგული ინიციატივა კვლავ ხელთ ეგდო. მაგრამ დარტყმები ჩვენი ჯარებისა კიდევ უფრო განვითარდა სხვა მიმართულებიდანაც.

ამრიგად, დადგა დიდი ხნის ნანატრი დრო. დაიწყო ჩვენმა ჯარებმა ოკუპანტების მასობრივად განდევნა ჩვენი მიწა-წყლიდან. საქვეყნოდ გამომჟღავნდა, რომ ჰიტლერულმა „ძლებულმა" არმიამ და მისმა სარდლობის სტრატეგიამ სამარცხვინო კრახი განიცადა მოსკოვთან. შეიძლება ითქვას, რომ აქ გადატყდა მტრის ხერხემალი და აქ ჩაესვენა მათი გამარჯვების მზე.

აფასებდა რა მოსკოვის მისადგომებზე ფაშისტური გერმანიის დამარცხების მნიშვნელობას, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა რ. ი. მალინოვსკიმ სამამულო ომის დაწყების 20 წლისთავზე თქვა: „მოსკოვთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურება ისტორიაში შევიდა, როგორც მეორე მსოფლიო ომისა და დიდი სამამულო ომის თვალსაჩინო სამხედრო მოვლენა და როგორც საბჭოთა არმიის ერთ-ერთი ბრწყინვალე გამარჯვება".

საბჭოთა ადამიანები მოსკოვის მისადგომებზე ფაშისტთა ურდოების განადგურების 20 წლისთავს აღნიშნავენ მაშინ, როდესაც იერიში მიაქვთ კომუნიზმის მშენებლობის ყოველ უბანზე. ისინი მადლიერების გრძნობით მოიგონებენ ყველა იმათ ნათელ სახეებს, ვინც თავი შესწირა მოსკოვის დაცვასა და დიდ სამამულო ომში ვერაგ მტერზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების საქმეს.

გ. ყურაშვილი,
თადარიგის გენერალ-მაიორი.

* * *

სურათებზე: მოსკოვის გმირული დაცვის ეპოპეა. ქვემოთ — არტილერია გამანადგურებელი ცეცხლით მხარს უჭერს დასავლეთის ფრონტის მეომრებს კონტრშეტევაში, ზემოთ — დედაქალაქის დაცვის მოწინავე ხაზზე (1941 წლის დეკემბერი).

გამოფენა მოგვითხრობს...

მოსკოვი, 3 დეკემბერი. (საკდესი). 1941 წლის 6 დეკემბერს დაიწყო გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურება მოსკოვთან. ამ თარიღის აღსანიშნავად საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში გაიხსნა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი დოკუმენტური ფოტოსურათები, პლაკატები, ნახატები და სურათები გვაცნობენ იმ დღეებს, როცა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს მრისხანე საფრთხე მოელოდა.

მრავალი ფოტოსურათი ასახავს ოქტომბრის სამახსოვრო დღეების მოსკოვის მკაცრ სახეს: ბარიკადები, ბოძკინტები, აეროსტატები, საზენიტო ქვემეხები სახლების სახურავებზე, ქუჩებში მოსიარულე ჯარისა და მუშათა ბატალიონები...

ექსპონირებულია ალბომები მასალებისა საბჭოთა არმიის ნაწილებისა და შენაერთების, საჰაერო თავდაცვის ჯარების, აგრეთვე მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სახალხო ლაშქრისა და პარტიზანების საბრძოლო მოქმედების შესახებ.

გმირული ეპოპეა ციფრებში

მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლაში ორივე მხრიდან მონაწილეობდა 150 დივიზია, 20 ათასი ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 3 ათასი ტანკი და ორი ათასამდე თვითმფრინავი.

საბჭოთა გვარდია პირველად იშვა მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლებში. 1941 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში 8 მსროლელთა დივიზიას, 1 მოტომსროლელ დივიზიას და ერთ სატანკო ბრიგადას მიენიჭა გვარდიული დივიზიის საპატიო წოდება. ნოემბრის ბოლოს კი ეს წოდება მიეკუთვნა ცხენოსანთა კორპუსს, ხოლო 6 დეკემბრისათვის 6 საავიაციო პოლკს.

1941 წლის 22 ივლისიდან 1942 წლის 10 მარტამდე გერმანელმა ფაშისტებმა მოსკოვის წინააღმდეგ მოაწყეს 8823 თვითმფრინავ-გაფრენა. ზოგიერთ გაფრენაზე მონაწილეობდა 300-ზე მეტი მტრის თვითმფრინავი. მტერმა ამ გაფრენებში დაკარგა 1086 თვითმფრინავი და 4 ათასი მფრინავი.

საბჭოთა არმიის კონტრშეტევის შედეგად მოსკოვის მისადგომებზე გერმანელთა 38 დივიზიამ განიცადა მძიმე დამარცხება.

მოსკოვის დაცვისათვის ფრონტზე დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ გაგზავნა 114 ათასი კომუნისტი.

მარტო 1941 წლის ოქტომბრის ბოლოს მოსკოვის მისადგომებზე გაიგზავნა ოთხი ახალი დივიზია, რომლის რიცხობრივი შემადგენლობის ნახევარზე მეტი კომუნისტები და კომკავშირელები იყვნენ.

1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში მოსკოვის საწარმოები უშვებდნენ იმაზე მეტ საბრძოლო ავტომატებს, ვიდრე თავდაცვის სახალხო კომისარიატის ყველა ქარხანა ომის დასაწყისში.

მტრის ზურგში მოსკოვის მისადგომებთან მოქმედებდა 40-ზე მეტი პარტიზანული შენაერთი, რომელშიც ათი ათასზე მეტი პარტიზანი შედიოდა.

სამშობლომ დიდად შეაფასა მოსკოვის დაცვისათვის ზურგში და ფრონტზე ჩადენილი გმირობა და დააწესა სპეციალური მედალი „მოსკოვის დაცვისათვის". ამ მედლით დაჯილდოებულ იქნა ერთ მილიონზე მეტი კაცი.

გამოხმაურება პროფესორ ი. ჟორდანიას წერილზე:

„ოჯახი ერის ბურჯია"

ერთი შვილი, არა შვილი

გიორგი თავზიშვილი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ჩვენ ხშირად ვკითხულობთ და ვისმენთ სავსებით მართებულ, გონიერ სიტყვებს, რომ ხალხის მომავალი და უკვდავება არის მისი ახალგაზრდობა. ეს გამოთქმა მომხიბლავი და ამაღელვებელია არა თავისი ლამაზი ფორმით, არამედ მისი შინაარსის სიბრძნით, ძლიერი ლოგიკით.

კაცობრიობას არაფერი აქვს იმაზე უძვირფასესი, ვიდრე ახალგაზრდობა, მომავალი თაობა. ეს არის მისი სიცოცხლე, განვითარება და სრულყოფა. ამიტომ სავსებით ნათელია, რომ ხალხის არსებობა მის გამრავლებაშია, ხოლო ხალხის გამრავლება ოჯახის მრავალშვილიანობას გულისხმობს.

ქართველი ხალხი რიცხობრივად არასოდეს არ წარმოადგენდა დიდ ერს, მაგრამ ქართული ოჯახი კი სწორედ მრავალრიცხოვანობით გამოირჩეოდა. პატარა იყო ქართველი ხალხი, მაგრამ მისი ფიზიკური და სულიერი ძლიერება საკმაოდ ცნობილია. და თუ ის მრავალ საბედისწერო ქარტეხილს გადაურჩა, მხოლოდ იმით, რომ დიდი იყო მისი სიცოცხლის პოტენცია, მომავლის სიყვარული, მისწრაფება უკვდავებისაკენ და, მაშასადამე, ზრუნვა მომავალ თაობებზე, მათ კარგ აღზრდაზე.

ჩვენი ხალხი შეტრფოდა ოჯახის დედას, რომელიც მრავალ შვილს უზრდიდა მას. მრავალშვილიან დედას ჩვენში არ აკლდა ხალხის სიყვარული და მზრუნველობა, ხოტბა და ქება-დიდება. ცხრა ძმა ოჯახში იყო არა მარტო მოწოდება და სიმბოლო მრავალშვილიანობისა, არამედ ჩვეულებრივი მოვლენაც. „ცხრა ძმა ხერხეულიძენი" გამოხატავდნენ არა გამონაკლისს, არამედ წესს. მრავალშვილიანობის მაგალითს არა იშვიათად მეფეები და საზოგადო მოღვაწეები აძლევდნენ ხალხს. მაგალითად, ერეკლე მეორეს 25 შვილი ჰყავდა. გამოჩენილ ქართველ მწერალ ქალს ეკატერინე გაბაშვილს ჰყავდა 11 შვილი. ეს ხელს არ უშლიდა მას დიდ ლიტერატურულ მუშაობაში და სახალხო მოღვაწეობაში.

მცირეშვილიანობას ჩვენში არ თვლიდნენ შვილიანობად. დღესაც გაიგონებთ შესანიშნავ სიტყვებს:

ერთი შვილი — არა შვილი,
ორი შვილი — ვითომც შვილი,
სამი შვილი — ცოტა შვილი,
ოთხი შვილი — დასტურ შვილი.

მართლაც, ოჯახში ერთი შვილი ერის განახევრებას იწვევს, ორი შვილი თითქოს ინახავს ერის რიცხვს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ორივე იზრდება, სამი შვილი — ზრდის ერის რიცხვს, მაგრამ უმნიშვნელოდ, ოთხი შვილი ოჯახში — ნამდვილად მნიშვნელოვანი ზრდაა ერისა, მაგრამ იდეალი არც ეს არის.

მრავალშვილიანობა ოჯახისა ნიშნავს ოთხზე მეტ შვილს, მაგრამ არა მარტო შობით, არამედ ჯანსაღი გაზრდით, გონიერული აღზრდით, ვაჟკაცური შემართებით, ჰუმანური გრძნობით და პატრიოტული სულისკვეთებით.

ამჟამად ჩვენში მრავალშვილიანობა იშვიათი მოვლენაა და ეს კიდეც ეტყობა ჩვენი ერის გამრავლების საქმეს. არ არის დასამალავი, რომ ჩვენი რესპუბლიკა გამრავლების მხრივ ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა მოძმე რესპუბლიკებს შორის. გმირ დედებს შორის ქართველი ქალები ძალიან ცოტაა. ეს მდგომარეობა არა ბუნებრივია იმ დროს, როცა ხალხის ეკონომიური და საყოფაცხოვრებო პირობები თანდათან უკეთესი ხდება, საზოგადოებრივი აღზრდა-განათლების დაწესებულებები მრავლდება, ჯანმრთელობის დაცვა უმჯობესდება.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ ცოლი და ქმარი ოჯახს არ წარმოადგენს. ოჯახად ითვლება დედა და მამა, ე. ი. შვილებიანი ცოლ-ქმარი, იმ ოჯახში კი, სადაც საკუთარი შვილები არა ჰყავთ, უნდა იზრდებოდნენ აყვანილი ანუ ნაშვილევი ბავშვები.

ცნობილია, რომ საკუთარი შვილი და ნაშვილევი ბავშვი ერთნაირად უყვართ ოჯახში. ეს იმიტომ, რომ შვილისადმი სიყვარულს განსაზღვრავს არა შობა, როგორც ფიზიოლოგიური მომენტი, არამედ მისი აღზრდა, მასზე გაწეული შრომა და მზრუნველობა. მართალია, შვილების წესიერი აღზრდა ადვილი საქმე არ არის, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ყოველი შვილი — ოჯახის დიდი სიხარულია. შვილებს შეაქვთ ოჯახში სიცოცხლე, ჯანსა და ღონეს მატებენ მშობლებს, ზრდიან ოჯახის შრომისუნარიანობას, მის დოვლათსა და ბარაქას.

აუცილებელია მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ყველა დაბადებული იზრდებოდეს, შრომისა და ცხოვრებისათვის ვარგოდეს.

ბავშვის გაჩენას დიდი ჭკუა-გონება არ უნდაო, ამბობდა ა. გრიბოედოვი. ბავშვების კარგად აღზრდისათვის საკმარისი არ არის მათი სიყვარული. ქათამსაც კი უყვარს თავისი წიწილები — წერდა მაქსიმ გორკი. საჭიროა არა მარტო სიყვარული ბავშვებისა, არამედ ცოდნა მათი კარგი, მეცნიერული აღზრდისა.

უშვილო ცოლ-ქმარი მოკლებულია არა მარტო სიხარულს, არამედ ჯანმრთელობასაც; ვინაიდან შვილიანობა ოჯახის ჯანმრთელობის აუცილებელი პირობაა; უშვილო ცოლ-ქმარს სიბერისა ეშინია, ვინაიდან ვერ ხედავს მემკვიდრეს, უანგარო მზრუნველს და მომვლელს. ასეც უნდა იყოს: თუ სხვის აღზრდაზე თავის დროზე არ გიზრუნია, თუ ცხოვრების გზაზე არავინ დაგიყენებია, თუ სხვაზე არავითარი ამაგი მიგიძღვის — ვისგან ელი სამაგიეროს სიბერისა და ავადმყოფობის დროს?

ბავშვის სწორი აღზრდის ყველაზე არსებით პირობას წარმოადგენს მისი ყოველმხრივი განვითარება, მისი ფიზიკური და გონებრივი ძალების თავისუფალი, ჰარმონიული გაშლა და სრულყოფა. ადამიანის ყოველმხრივ განვითარებაში იგულისხმება მისი გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური და პოლიტექნიკური აღზრდა-განათლება. ყოველმხრივი განვითარების საფუძველს წარმოადგენს შრომა, რომელიც ითვლება არა მარტო პიროვნების კეთილშობილების უმთავრეს წყაროდ, არამედ მისი ფიზიკური განვითარების უმთავრეს პირობადაც.

ოჯახმა ყველა ბავშვს თავიდანვე უნდა შეაყვაროს შრომა, მაგრამ ამისათვის საკმარისი არ არის ლაპარაკი შრომის აუცილებლობისა და სარგებლიანობის შესახებ, საჭიროა ბავშვების უშუალოდ ჩაბმა ისეთ საოჯახო საქმეში, რომელიც მისაწვდომია მათი ასაკისა და უნარისათვის. ყველა ოჯახში უნდა იყოს გამოყოფილი საშინაო მეურნეობის სახეები, რომლებსაც ბავშვები უნდა ასრულებდნენ ყოველდღიურად. ის ბავშვები, რომლებსაც ფიზიკური შრომა უყვართ, კარგად სწავლობენ სკოლაში და წარჩინებული ყოფაქცევითაც გამოირჩევიან.

უნდა გვახსოვდეს, რომ შრომა ჯანმრთელი ორგანიზმის მოთხოვნილებაა, საფუძველია ადამიანის გონების გახსნისა, მისი მოქალაქეობრივი იერის ჩამოყალიბებისა, მხატვრული გემოვნების შემუშავებისა და საზოგადოებრივი აქტივობისა. ამიტომ, თუ მშობლები თავიანთ შვილებს შრომას არიდებენ, აზიზად ზრდიან, ნიავს არ აკარებენ, ისინი აკლებენ მათ ამ შესანიშნავ ადამიანურ თვისებებს და ამით მტრობას უწევენ მათ.

ბავშვთა ყოველმხრივი განვითარებისათვის აუცილებელია აგრეთვე მათი აღზრდა სოციალისტური ჰუმანიზმისა და კოლექტივიზმის გრძნობით. ამისათვის საჭიროა თვით ოჯახი წარმოადგენდეს კოლექტივს, რომლის ყოველი წევრი გამსჭვალულია ინტერესთა ერთიანობით, ურთიერთ პატივისცემით, ნდობით და სიყვარულით. ცნობილია, რომ მშობელთა მაგალითი პირველი და ყველაზე ძლიერი საალმზრდელო ძალაა. ცხადია, მშობლები უნდა იქცეოდნენ ისე, რომ ყოველი მათი მოქმედება მისაბაძი იყოს პატარებისათვის. ადამიანზე მზრუნველობის ნათელ მაგალითებს ბავშვები პირველ ყოვლისა უნდა ხედავდნენ ოჯახში, მშობლებსა, და-ძმებსა და ნათესავთა შორის, აგრეთვე მეზობლებთან დამოკიდებულებაში.

იმ ოჯახში, სადაც არ არის ინტერესთა ერთიანობა, შეთანხმებული მუშაობა, ურთიერთის გაგება, დათმობა და ანგარიშის გაწევა, იქ, სადაც ბებიას, პაპას, გამზრდელს და სხვა მოხუცებულებს უხეშად ეპყრობიან, — ბავშვები ადამიანისადმი პატივისცემისა და სიყვარულის ნაცვლად უსულგულობას, გულგრილობას და უადამიანობას ეჩვევიან.

ოჯახშივე უნდა ეყრებოდეს საფუძველი ბავშვთა აღზრდას სოციალისტური პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობით და ამის პირველ მაგალითებსაც ოჯახი უნდა აძლევდეს მათ. ისინი მშობლებისა და უფროსი ადამიანების ქცევაში უნდა ხედავდნენ სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადების ნიმუშებს. მშობლიური ენის პატივისცემა, მისი სიწმინდისათვის ბრძოლა და მისი კანონიერი უფლებების დაცვა უნდა შეადგენდეს ოჯახის ყოველი წევრის მოვალეობას და მოწოდების საქმეს.

ყოველ ოჯახში და პირველ ყოვლისა მრავალშვილიან ოჯახში აუცილებელია არსებობდეს ბავშვებზე უფროსთა ზემოქმედებისა და მოთხოვნის ერთიანობა. მშობლებისა და ოჯახის სხვა უფროს წევრთა დამოკიდებულება ბავშვებისადმი უნდა იყოს ურთიერთ შეთანხმებული და კოლეგიალური. ცუდია, როცა ბავშვის გამოსწორებისათვის დედის ღონისძიებას ცვლის მამა, ან პირუკუ. როცა ბებია ერთს მოითხოვს შვილიშვილისაგან და პაპა — მეორეს. ასეთ პირობებში ბავშვმა არ იცის ვის დაუჯეროს, ვის დაემორჩილოს.

ზემოქმედების ყოველი ფორმა ოჯახში, აღზრდის ყოველი მეთოდი უნდა ითვალისწინებდეს ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებს და მათდამი ინდივიდუალური მიდგომის ხერხებს. ერთისა და იმავე უარყოფითი საქციელისათვის ერთ ბავშვს სჭირდება გაკიცხვა, მეორეს მოფერება (თუ ის თვითონვე განიცდის თავის ქცევის უარყოფით შედეგს), მესამეს — გამართლება, მეოთხეს — მკაცრი სასჯელი, ხოლო ზოგიერთი ბავშვის უარყოფით საქციელს უკეთესია შევხვდეთ დუმილით და გვერდი ავუაროთ.

თავისთავად ცხადია, რომ რაც უფრო მაღალია მშობელთა პედაგოგიური კულტურა, მით უფრო წარმატებით მიმდინარეობს ბავშვთა საოჯახო აღზრდა, მით უფრო რაციონალურია საოჯახო აღზრდის ფორმები და მეთოდები.

უნდა გავამრავლოთ მრავალშვილიანი ოჯახები და ამასთან გავაძლიეროთ თვით მშობელთა პედაგოგიური განათლება სპეციალური, პედაგოგიური ლიტერატურით, მშობელთა უნივერსიტეტებით, კონსულტაციებით, სკოლასთან მჭიდრო კავშირით, საოჯახო აღზრდის გამოცდილების გაზიარებით და, საერთოდ, პედაგოგიური ცოდნის სისტემატური პროპაგანდით.

ჩვენ გვინდა ჩვენი ხალხის არა მარტო ფიზიკური გამრავლება, არამედ მისი გამრავლება ყოველმხრივ განვითარებული ადამიანებით, რომელთაც ნათლად აქვთ წარმოდგენილი თავისი საზოგადოებრივი მოვალეობა, ესმით თავისი დანიშნულება ცხოვრებაში, აღჭურვილი არიან ცოდნით და მაღალი მორალური პრინციპებით.

მომავალ თაობათა სწორი, მეცნიერული აღზრდა ერის გამრავლების, მისი კულტურული ზრდისა და განვითარების უმთავრესი საშუალებაა.

შთაბეჭდილებანი პრეტენდენტთა ტურნირზე

ნონას „საიდუმლოებანი"

იუგოსლავიაში პრეტენდენტთა ტურნირის საბჭოთა მონაწილენი გულთბილად მიიღეს. ბელგრადში ჩასვლისთანავე მეგობრულ გარემოცვაში ვიგრძენით თავი. მცირე შესვენების შემდეგ მასპინძლებმა დაგვათვალიერებინეს თავიანთი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები და ვახშმად მიგვიწვიეს სასტუმრო „სერბიის" რესტორანში. აქ სხვათა შორის ჩვენს საპატივცემულოდ მომღერალმა ქალმა ორკესტრის თანხლებით შეასრულა რ. ლაღიძის „თბილისო", რამაც ჩვენ მოულოდნელი სიამოვნება მოგვანიჭა.

ვრნიაჩკა-ბანია შორს არის ბელგრადიდან. იგი შესანიშნავი კურორტია. მისი მდებარეობა, მინერალური წყლების სიუხვე მოგვაგონებს ბორჯომის ხეობას.

პრესა და რადიო აქეზებდა მსოფლიოს 17 უძლიერეს მოჭადრაკეს ნამდვილი ბრძოლისათვის. დაუფარავად სწერდნენ ამათუიმ მოჭადრაკის შანსებზე. დიდ შეფასებას აძლევდნენ ისინი საბჭოთა მოჭადრაკეებს, იუგოსლაველებს ვ. ნედელკოვიჩსა და მ. ლაზარევიჩს, აგრეთვე აშშ ჩემპიონს ლ. ლეინს. ბოლოს, როცა ნონა გაფრინდაშვილს დარჩა პირველობა გაზეთმა „სპორტმა" დახვეწილი წერილი მოათავსა სათაურით „ერთის ტრიუმფი და 16-ის ამოხსნაში".

ჟურნალისტებიც არც ჩვენ გვასვენებდნენ. იუგოსლავიაში ყველამ გაიგო, რომ ნონამ ფეხი აიდგა ზუგდიდში ტ. გაფრინდაშვილის „მოჭადრაკეთა ოჯახში", ხუთი წლისა ეზიარა ჭადრაკს და ბევრი სხვა დეტალი მისი სპორტული ბიოგრაფიიდან. კორესპონდენტთა ყურადღება განსაკუთრებით გაიზარდა მისადმი ტურნირის დამთავრების შემდეგ. ყველას აინტერესებდა, რას ფიქრობს იგი ე. ბიკოვასთან მატჩის შესახებ, როგორ ითამაშებს. ნონა ჩვეული მოკრძალებით პასუხობდა მოკლედ: „არ ვიცი, დრო გვიჩვენებს".

როცა ნონა გაფრინდაშვილმა განიმტკიცა ლიდერობა, ყველა დაინტერესდა მისი გამარჯვებათა საიდუმლოებით. რასაკვირველია, არაფერი იყო სასაიდუმლო. მაგრამ ვიღაცამ მაინც გაგვიმხილა ხუმრობით: ნონას წინსვლას ოთხი საიდუმლოება აქვსო. პირველი — ნონა ტურნირის დასაწყისიდან განუწყვეტლივ ჭამს „პაპრიკას" — იუგოსლაველთა ეროვნულ საჭმელს ერთიდაიგივე მომტანის ხელიდან. მეორე, ნონას შველის მაგიდის ჩოგბურთის თამაში. მართლაც, ვრნიაჩკა-ბანიაში ჩასვლის მესამე დღეს მასპინძლებს დავათმობინეთ ჩვენთვის ოლიმპიურ საცურაო აუზთან მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო ადგილი და ნონა ყოველ დღე ორ-ორ საათს ეთამაშებოდა თავის კოლეგებს. სხვათა შორის იგი თითქმის ყველას ჯობნიდა. რამდენიმე პარტია მოუგო სტუმრად ჩამოსულ გროსმაისტერ ს. გლიგორიჩსაც კი. ცხადია ფიზიკური ვარჯიში დიდ დახმარებას უწევდა გაფრინდაშვილს მის ძნელ გონებრივ პაექრობაში. როცა გამოაშკარავდა ნონას „საიდუმლოება", იმატა ზვორიკინას, ნედელკოვიჩისა და შოდი დე სილანის მიღწევებმა, რომლებმაც წაბაძეს ქართველ ოსტატს. უკანასკნელმა ვოლპერტიც კი დაამარცხა, რასაც მშვენიერი ფრანგი მაგიდის ჩოგბურთს მიაწერდა. მესამე „საიდუმლოება" ასეთი იყო: თამაშის წინ ნონა ბაღში ჯდებოდა ხუთი წუთით ერთიდაიგივე სკამზე, ფიქრობდა მომავალ პარტიაზე, აწყობდა გეგმებს.

მეოთხე ნამდვილი საიდუმლოება ყველასათვის მიუღწეველია: ნონას ტალანტი ვერ შეიძინება.

ნამდვილად ტალანტის გარდა ნონა გაფრინდაშვილის დიდი გამარჯვება განაპირობა ბევრმა სხვა ფაქტორმაც. ნონა გაფრინდაშვილი კომბინაციური სტილის მოჭადრაკეა. მას უყვარს იერიში, ტაქტიკური გართულებები, მოულოდნელი მანევრები. მაგრამ მთავარია, რომ იგი ჭეშმარიტი მებრძოლია. ყველა პარტიას თამაშობს მხოლოდ გამარჯვების მისაღწევად. მაშინაც კი, როცა მისი პოზიცია საეჭვოდ გამოიყურება ნონა არ ეძებს ყაიმის გზებს. ამ ტურნირში მან სტრატეგიული თამაშის უნარიც გამოავლინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სადებიუტო რეპერტუარის გაფართოება, უცნობი სადებიუტო სქემებში ჩაწვდომის სისწრაფე. გამოცდილებასთან ერთად გაიზარდა ნონას რეაქცია კრიტიკულ მომენტებში. გაიხსენეთ პარტია მ. ლაზარევიჩთან. ამიტომ როდია შემთხვევითი, რომ ნონა ჩინებულად თამაშობს ელვისებურ პარტიებს. ვრნიაჩკა-ბანიაში იგი ბევრს ეთამაშა ელვისებური პარტია. ვ. ნედელკოვიჩსა და მ. ლაზარევიჩს მოუგო მატჩები ანგარიშით 4:0, ე. პოლიქრონიადეს — 5:1, შემდეგ „გაუმკლავდა" ვაჟებს. რუმინელ ოსტატ სმიანუს დამარცხება აგემა ანგარიშით 8:2, პოლონელ დოდოს — 1:0. მხოლოდ მინიჩმა დაიცვა კაცების ინტერესები, როცა გაიმარჯვა — 4:8. მ. ლაზარევიჩის მწვრთნელი ოსტატი მინიჩი აღფრთოვანებით გაიძახოდა:

— ეს თამაშის უმაღლესი კლასია, და ხუმრობით უმატებდა: ჩვენი ბედი, რომ მოვიგე, თორემ კაცებსაც დაგვჩაგრავდა.

ნონა გაფრინდაშვილის წარმატებაში გარკვეული როლი ითამაშეს თბილისის საერთაშორისო ტურნირებმა, მიღებულმა გამოცდილებამ ძალიან გამოადგა. ამასთან, ზაფხულში შეკრებაზე ნონამ მიიღო კარგი ფიზიკური წრთობა ფეხბურთის თამაშში, შორეულ ექსკურსიებში ლაშქრობაში და სხვა. გამარჯვების ერთ-ერთ საყურადღებო ფაქტორად ჩაითვლება ის სერიოზული მიდგომა ტურნირისადმი, რომელსაც ნონა იჩენდა, იგი უმკაცრესი სიმტკიცით იცავდა დღის რეჟიმს, არაფერს შეეძლო მისი შეფერხება. ამიტომაც გაკვირვებული შესცქეროდნენ ქართველ გოგონას მოჭადრაკეები, მწვრთნელები, ჟურნალისტები. ამდენი ნებისყოფა, სულიერი სიმხნევე, დაუღალაობა და დაუშრეტელი სიყვარული ჭადრაკისადმი სად იმალება.

ტურნირის ბოლოს ვრნიაჩკა-ბანიაში ბევრი სტუმარი ჩამოდიოდა. ერთხელ გვესტუმრა კატია იოვანოვიჩი, რომელიც წელს მონაწილეობდა თბილის-ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე, და მიგვიწვია თავის სახლში ბელგრადში. ჩვენ ვისარგებლეთ მიწვევით და ი. ბონდარევსკისთან ერთად ვესტუმრეთ იოვანოვიჩების ოჯახს, მასპინძლებმა კარგი შეხვედრა მოგვიწყეს.

ტურნირის დამთავრებისას მოჭადრაკე ქალები, მათი მწვრთნელები მეგობრულად დაემშვიდობნენ ერთმანეთს. სუვენირები, პატარ-პატარა საჩუქრები წიგნებისა თუ ფოტოსურათების სახით, უძღვნეს ერთმანეთს.

თითქმის ყველა სთხოვდა ნონას ღირსეულად დაეცვა ტურნირის პრესტიჟი ე. ბიკოვასთან ორთაბრძოლაში. ბუნებით მოკრძალებული, გამარჯვებული მხოლოდ იღიმოდა. ძნელია დაპირება.

მსოფლიო ჩემპიონ ე. ბიკოვასთან მატჩი მეტად სერიოზული შეჯიბრებაა, აქ ბევრია საფიქრელი, მოსამზადებელი, გასათვალისწინებელი. მართალია, წინ ბევრი დრო გვაქვს, მაგრამ მზადებას ახლავე უნდა შევუდგეთ.

როგორია ჩვენი მომავალი გეგმები? ამის შესახებ ჩვენ აუცილებლად ვიმსჯელებთ საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმზე. ჯერჯერობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ნონა ითამაშებს დეკემბრის ბოლოს საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობაზე მოსკოვში რამდენიმე პარტიას. მაგრამ საბჭოთა კავშირის XXII ჩემპიონატში, რომელიც ჩატარდება იანვარში ერევანში, ალბათ არ მიიღებს მონაწილეობას. ვფიქრობ ნონა ითამაშებს საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატში, შემდეგ თბილისის ქალთა მესამე საერთაშორისო ტურნირში, ხოლო ზაფხულში მატჩისათვის ინტენსიური მზადების პერიოდში ორ პატარა (5-6 პარტია) მატჩს ჩაატარებს რომელიმე ოსტატთან ან ოსტატობის კანდიდატთან. რასაკვირველია, დიდ ყურადღებას დავუთმობთ ფიზიკურ მომზადებას და ბევრ სხვას, რაც აუცილებელია მატჩში წარმატებით თამაშისათვის.

მიხეილ შიშოვი,
სპორტის ოსტატი, მწვრთნელი.

სურათზე: ნონა გაფრინდაშვილი თავის მწვრთნელ მიხეილ შიშოვთან ერთად.

ძვირფასი შენაძენი

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ გიორგი ჩიტაიას სახელზე იტალიის დედაქალაქ რომიდან მოვიდა პატარა პაკეტი, რომელშიც იყო XVII საუკუნის მოღვაწის ქრისტეფორე კასტელის ნახატების ალბომების მიკროფირები. ქართული კულტურისათვის და განსაკუთრებით ჩვენი ეთნოგრაფიისათვის ეს ძვირფასი შენაძენი გამოგზავნა გამოჩენილმა იტალიელმა ეთნოგრაფმა, რომის უნივერსიტეტის პროფესორმა ემილიო სერენიმ.

იტალიელი მეცნიერი გასულ წელს იმყოფებოდა საქართველოში. აქ მას, როგორც აგრარული ეთნოგრაფიის დიდ მკვლევარს, აინტერესებდა საქართველოს ეთნოგრაფიის გაცნობა. იგი მუშაობდა ჩვენს მუზეუმებში, ეთნოგრაფიულ გამოფენაზე; დაათვალიერა ისტორიული ძეგლები. სერენს კონსულტაციას უწევდა პროფესორი ჩიტაია.

და აი მათი საუბრების დროს ქართველმა მეცნიერმა აცნობა სერენს, რომ იტალიაშია ქრისტეფორე კასტელის ალბომები, რომლებიც ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის მეტად საინტერესო მასალებს შეიცავს, და სთხოვა გამოეგზავნა ამ ალბომების მიკროფირები.

კასტელის ალბომების „საიდუმლოება"

◆

სერენმა აღუთქვა დახმარება და ზუსტად ერთი წლის შემდეგ კიდევაც შეასრულა თავისი დანაპირები.

— რას წარმოადგენს კასტელის ნახატების ალბომების მიკროფირები? რომელი წყაროებით იცოდით ამ ალბომების არსებობა? ამ კითხვებით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა პროფესორ ჩიტაიას.

აი რა გვიპასუხა მან:

— როგორც ისტორიული წყაროებიდან არის ცნობილი, ქრისტეფორე კასტელი რომის კათოლიკურმა ეკლესიამ XVII საუკუნის დასაწყისში იტალიიდან გამოგზავნა საქართველოში მისიონერული მოღვაწეობისათვის. იგი თავისი დროისათვის საკმაოდ განსწავლილი პირი ყოფილა და ამავე დროს კარგი მხატვარიც. კასტელი საქართველოში 26 წელს ცხოვრობდა. აქედან 16 წელი გაატარა სამეგრელოში, დანარჩენ წლებში ცხოვრობდა გურიაში, იმერეთში, გორში. მართალია, კასტელის მოღვაწეობის ძირითადი მიზანი საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება იყო, მაგრამ მხატვრობასაც საკმაოდ დიდ დროს უთმობდა. ხატავდა საქართველოს მეფეებს, ისტორიულ პირებს, მთავრებს, დიდებულებს, ხატავდა ნაგებობებს, საყოფაცხოვრებო ხასიათის საგნებს — შრომის იარაღებს, საზეიმო და სამგლოვიარო რიტუალებს, თამაშობებს, ეროვნულ ტანსაცმელს. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი თავის გრაფიკულ ნამუშევრებში ასახავდა არა მარტო დიდგვაროვან პირებს, არამედ მდაბიო ადამიანებსაც.

კასტელის ნახატების ალბომებს პირველად ყურადღება მიაქცია იტალიელმა მეცნიერმა ბელიომ, რომელმაც ამ ალბომებზე დაყრდნობით გასული საუკუნის 90-იან წლებში რომში გამოსცა შრომა „კოლხეთის მიწათმოქმედება XVII საუკუნეში". ამ შრომას დართული აქვს კასტელის ალბომებიდან ამოღებული მიწის დასამუშავებელი იარაღების სურათები, მაგრამ ნახატები იმდენად გაურკვევლად იყო გამოსახული, რომ ძნელი იყო სპეციალისტისათვის ამ იარაღის სახეობის დადგენა.

ქართველ მეცნიერთაგან კასტელის ალბომებს პირველად ყურადღება მიაქცია ისტორიკოსმა მ. თამარაშვილმა, რომელიც საქართველოში კათოლიკობის ისტორიაზე მუშაობის დროს გაეცნო რომის ბიბლიოთეკებსა და არქივებს. და სწორედ აქ გაიგო მან კასტელის ალბომების არსებობა. ქართველი მეცნიერი ორჯერ ჩავიდა პალერმოს ბიბლიოთეკაში, სადაც ინახებოდა კასტელის ალბომები. აქ მ. თამარაშვილმა რამდენიმე სურათი გადაიღო ალბომებიდან. 120 ასეთი სურათი ამჟამად საქართველოს სახელმწიფო და ხელოვნების მუზეუმებში ინახება.

ორი თუ სამი სურათი კასტელის ალბომებიდან დაბეჭდა ინგლისელმა ისტორიკოსმა ალენმა თავის მონოგრაფიაში „მეფე ერეკლეს ხანა საქართველოში".

საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებრიობა დაინტერესებული იყო კასტელის ალბომების სრული ფოტოპირების მიღებით.

და აი ეს უძვირფასესი მასალა ახლა ჩვენი მეცნიერების ხელშია. მათ აქვთ სრული ტექსტი და სურათები, რომლებიც კასტელის კალამსა და ყალამს ეკუთვნის. საინტერესოა ტექსტუალური მასალაც, რომელშიც ლაპარაკია იმდროინდელი საქართველოს ყოფაცხოვრებასა და ისტორიულ მოვლენებზე, პოლიტიკურ მოღვაწეთა ცხოვრებაზე.

ამრიგად იტალიიდან მიღებული მიკროფირები თავისი მეცნიერული თვალსაზრისით ფასდაუდებელია და ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერება ბევრი ახალი მასალით გამდიდრდება.

ამჟამად მიღებული მიკროფირებიდან იბეჭდება ფოტოსურათები, ითარგმნება იტალიური ტექსტები და მალე საქართველოს საზოგადოებრიობა კასტელის ნახატების შესანიშნავ გამოცემას მიიღებს.









სურათებზე: რეპროდუქციები ქ. კასტელის ალბომიდან. მარცხნივ — „ქართული სოფელი" და „ურემი და კარმიდამო", მარჯვნივ — „პოეტი ქალი ვომინისა ბერიძე" და „ნადირობის სცენა".

კუბის გზა ნათელია

ფიდელ კასტროს გამოსვლა

◆

ჰავანა. 3 დეკემბერი. (საკდესი). I დეკემბერს საღამოს პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ სიტყვა წარმოთქვა სახალხო უნივერსიტეტში. მისი ხუთსაათიანი სიტყვა, რომელიც ტრანსლირებულ იქნა რადიოთი და ტელევიზიით, მიეძღვნა სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის შექმნის საკითხს.

ფიდელ კასტრომ დაწვრილებით ილაპარაკა კუბაში რევოლუციური ბრძოლის ძირითად ეტაპებზე, ბრძოლისა, რომელიც სახალხო ხელისუფლების დამყარებით დამთავრდა, დაახასიათა კუბის ძირითადი რევოლუციური ორგანიზაციები, მათი საქმიანობა და განვითარება, დაასაბუთა, რომ საჭიროა მათი გაერთიანება და ერთიანი მარქსისტულ-ლენინური პარტიის შექმნა, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალიზმის შენება. მან განაცხადა, რომ იდეალური მთავრობა შეიძლება იყოს მხოლოდ რევოლუციური პარტიის მთავრობა კოლექტიური ხელმძღვანელობით, რომ რევოლუციის ერთიანი პარტიის პროგრამა შეესაბამება კუბაში ობიექტურად შექმნილ პირობებს.

გააანალიზა რა შემდეგ სახალხო ხელისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის მსვლელობა, კასტრომ აღნიშნა, რომ სწორედ ამ ბრძოლაში ყალიბდებიან კადრები, რომლებიც შემდეგ სათავეში უდგებიან ქვეყნის მართვა-გამგეობას.

კასტრომ აღნიშნა, რომ ბატისტას დიქტატურის წინააღმდეგ შეიარაღებული პარტიზანული ბრძოლის წარმატება აიხსნება უწინარეს ყოვლისა ხელსაყრელი ობიექტური პირობებით, და განაცხადა, რომ ახლა იმპერიალისტური და კონტრრევოლუციური ძალები ცდილობენ გამოიყენონ პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკა ლათინურ ამერიკაში რევოლუციურ მოძრაობათა წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ ვიცით, განაცხადა მან, რომ პენტაგონის მთელი სამხედრო მეცნიერება უძლურია რეალური სინამდვილის წინააღმდეგ, ხოლო ეს სინამდვილე ის პირობები, რომლებშიც ცხოვრობენ ლათინური ამერიკის ხალხები. რათა ბოლო მოუღოს რევოლუციურ პარტიზანულ ბრძოლას, არის მხოლოდ ერთი საშუალება: საჭიროა ბოლო მოეღოს იმპერიალიზმს, მის მონოპოლიებსა და ექსპლოატაციას.

შემდეგ ფიდელ კასტრომ დაწვრილებით გაარჩია კუბაში რევოლუციური ხელისუფლების შექმნის პროცესი და უამბო დამსწრეთ თავის თავზე, იმაზე, თუ იგი, ექსპლოატატორული კლასიდან გამოსული, როგორ გახდა რევოლუციონერი. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ უკვე უნივერსიტეტში გაეცნო კომუნისტურ მანიფესტს, მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაშრომებს.

იმისდა მიხედვით, რაც ჩვენ ვიძენთ დიდ გამოცდილებას, განაგრძო მან, სულ უფრო კარგად გვესმის სიმართლე, რომელსაც მარქსის მოძღვრება შეიცავს.

შემდეგ ფიდელ კასტრო შეეხო მარქსისა და ენგელსის ცხოვრებასა და მოღვაწეობას და ვ. ი. ლენინის, როგორც თეორეტიკოსისა და ხელმძღვანელის, ისტორიულ დამსახურებას. ახლა გრძელდება მარქსიზმის განვითარება, თქვა კასტრომ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებანი XXII ყრილობაზე ნამდვილი პოლიტიკური ტრაქტატია, რომლითაც იწყება სრულიად ახალი ამოცანის — კომუნიზმის მშენებლობის ამოცანის განხორციელება.

ახლა, განაგრძო კასტრომ, საბჭოთა ადამიანები მიდიან სრულიად ახალი გზით — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით. ეს იმას გვეუბნება, რომ მარქსიზმი არის ცოცხალი მეცნიერება, მეცნიერება, რომელიც ვითარდება.

სოციალიზმის მშენებლობა უკვე გაკვალული ბილიკია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოციალიზმის მშენებლობის პირობები ყველა ქვეყანაში სავსებით ერთნაირია.

ამავე დროს კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არის უდიდესი მნიშვნელობის დებულებები, რომლებიც გამომდინარეობენ სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებიდან და რომლებიც საერთოა ყველა ქვეყნისათვის.

შეეხო რა შემდეგ კაპიტალიზმის გარდუვალი დაღუპვის საკითხს ფიდელ კასტრომ განაცხადა: მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის არსებობს საშუალო გეზი; ვინც ცდილობს გამონახოს მესამე პოზიცია, ყალბ და უტოპიურ გზას ადგება, იმპერიალიზმის თანამზრახველი ხდება. ჩვენ შევედით სოციალიზმის მშენებლობის ეპოქაში. ჩვენ უნდა განვახორციელოთ მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრება, გვწამს მარქსიზმი, გვწამს ის, რომ მარქსიზმი ყველაზე სწორი, ყველაზე მეცნიერული თეორიაა, ერთად ერთი ჭეშმარიტად რევოლუციური თეორიაა. დიდი კმაყოფილებით და სრული რწმენით ვამბობ: მე ვარ მარქსისტ-ლენინელი და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მარქსისტ-ლენინელი ვიქნები.

შეეხო რა შემდეგ სიძნელეებს, რომლებიც იყო რევოლუციური ძალების გაერთიანების გზაზე, და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხს, კასტრომ უშუალოდ დაახასიათა პარტია, რომელიც უნდა შეიქმნას და რომელიც, როგორც მან თქვა, უნდა იყოს მტკიცე, დისციპლინირებული და ურყევი პოლიტიკური ორგანიზაცია, მუშათა კლასისა და კუბის რევოლუციის ავანგარდი.

კასტრომ თქვა, რომ ჯერ კიდევ ოფიციალურად პარტია არ არის შექმნილი, მაგრამ ბაზა მისი შექმნისათვის აგებულია კუბის რევოლუციურ ორგანიზაციების გაერთიანებით. პარტია შეიქმნება ამ გაერთიანების პირველ ორგანიზაციულ ყრილობაზე. პარტიას ექნება მარქსისტულ-ლენინური პროგრამა, რომელიც შეესაბამება სწორედ კუბაში არსებულ ობიექტურ პირობებს. ამას ეთანხმება კუბელი ხალხი — მუშათა კლასი, გლეხობა, მთელი პატიოსანი ინტელიგენცია, ახალგაზრდობა, კუბის ყველა პატიოსანი მოქალაქე.

კასტრო შეეხო აგრეთვე კოლექტიური ხელმძღვანელობის საკითხს. მე გულწრფელად მწამს თქვა მან, რომ ყველა პოლიტიკურ სისტემას შორის რომლებიც ადამიანს შეუმუშავებია მთელი ისტორიის მანძილზე, საუკეთესოა ისეთი მთავრობის სისტემა, რომელიც სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ეყრდნობა დემოკრატიულ საწყისებზე ორგანიზებულ და კოლექტიური ხელმძღვანელობის მქონე რევოლუციურ პარტიას.

სიტყვის დასასრულს კასტრომ განაცხადა: პარტია მუდამ უნდა იდგეს ცალკეულ პიროვნებებზე მაღლა, რადგან პარტია განასახიერებს არა ერთ გონებას, არამედ ათიათასობით და ასიათასობით ადამიანის გონებას, არა ერთი კაცის გმირობას, არამედ ყველას გმირობას, არა ერთი კაცის, არამედ ასიათასობით მოქალაქის თავგანწირვის სულისკვეთებას. საბრძოლო სულისკვეთებას, რევოლუციის სიყვარულის გრძნობას. ასეთი უნდა იყოს სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტია!

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

მერები ჯეროვან პასუხს აძლევენ „ულტრებს"

პარიზი, 3 დეკემბერი. (საკდესი). მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ჩვენს რწმუნებულებათა ფარგლებში ყოველი ღონისძიებით დავიცვათ რესპუბლიკური კანონიერება და ჩვენი მოქალაქეების უშიშროება, ნათქვამია რეზოლუციაში, რომელიც გუშინ ვოკლუზის დეპარტამენტის მერებმა მიიღეს ფაშისტური „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის" მუქარისა და იმის წინააღმდეგ, რომ იგი თავხედურად მოითხოვს მათ გადადგომას.

ხაზგასმით აღნიშნავენ რა, რომ ისინი თავიანთი მოქმედებისათვის პასუხს აგებენ მხოლოდ ამომრჩეველთა წინაშე, მერები ზიზღით უარყოფენ „ულტრების" მოთხოვნას და ერთსულოვან აღშფოთებას გამოთქვამენ ამ შეუწყნარებელი ცდის გამო — დააშინონ და გავლენა მოახდინონ მათზე. ისინი „სინანულით აღნიშნავენ, რომ ხელისუფალნი წაყრუებას იჩენენ ძირგამომთხრელი მოქმედების მიმართ, რაც სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მთელ საფრანგეთში".

რეაქციული კანონი მოქმედებს

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის ხელისუფალნი დაჩქარებით ამზადებენ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გასამართლების ინსცენირებას ყბადაღებული მაკარენის კანონის — „1950 წლის საშინაო უშიშროების კანონის" საფუძველზე, რომელიც მოითხოვს კომპარტიის როგორც „უცხოეთის სახელმწიფოს აგენტის" რეგისტრაციას. როგორც კი გავიდა 30 ნოემბერი — „ამ კანონის შესაბამისად კომუნისტური პარტიის მუშაკთა რეგისტრაციის" უკანასკნელი ვადა, ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო მანქანა მთელი ძალით ამუშავდა. 1 დეკემბერს იუსტიციის სამინისტროს მითითებით დიდმა ფედერალურმა ჟიურიმ გამოიტანა საბრალმდებლო დასკვნა კომპარტიის წინააღმდეგ იმისათვის, რომ მან უარი თქვა გატარებულიყო რეგისტრაციაში ამ სამარცხვინო კანონის საფუძველზე. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება, გუშინ საბრალმდებლო დასკვნა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ სასამართლოს აღმასრულებლებმა გადასცეს პარტიის გენერალურ მდივანს გეს ჰოლს. საბრალმდებლო დასკვნაში აღნიშნულია, რომ გენერალური მდივანი ან მისი წარმომადგენელი 8 დეკემბერს უნდა გამოცხადდეს ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების საოლქო სასამართლოში. საბრალმდებლო დასკვნის გადაცემის შემდეგ გეს ჰოლის ადვოკატმა განაცხადა, რომ გენერალური მდივანი არ წავა სასამართლოში.

შეწყდეს ამერიკის კომპარტიის დევნა

მთელი პროგრესული კაცობრიობა გულისწყრომით გმობს ამერიკის რეაქციის შეტევას ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის წინააღმდეგ. ბერლინიდან მიღებული ცნობით ქალაქ ზულის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ელექტროხელსაწყოთა სახალხო საწარმოს კოლექტივმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვს გააუქმოს სამარცხვინო კანონი კომუნისტების რეგისტრაციის შესახებ. ამ კანონის საშუალებით, ხაზგასმით აღნიშნულია წერილში, ცდილობენ ჩაახშონ ამერიკელი ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი, რათა სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიებს გზა გაუხსნან უფრო დიდ მოგებათა მიღებისათვის. მაგრამ ამ გზას მხოლოდ ომი შეიძლება მოჰყვეს.

როგორც ულან-ბატორიდან იუწყებიან, ქალაქის სხვადასხვა საწარმოში გაიმართა საპროტესტო მიტინგები ამერიკელ ხელისუფალთა სამარცხვინო მოქმედების წინააღმდეგ.

იტალიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადეს:

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოიყენოს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის მიმართ მაკარენის კანონი „უხეში პროვოკაცია" უწოდა ცნობილმა მწერალმა ლეონიდ რეპაჩიმ. ეს თვითნებობის აქტი, თქვა მან, ამავე დროს შემაშფოთებელი სიმპტომია, რომ დაიწყო მოქალაქეთა დემოკრატიული თავისუფლებების შელახვა. მართლაც, ვისთვის არ არის ნათელი აბსურდულობა მოთხოვნისა, რომ ამერიკელი კომუნისტები რეგისტრაციაში გატარდნენ როგორც „უცხო სახელმწიფოს აგენტები?".

მაკარენის კანონი, განაცხადა იტალიის დეპუტატთა პალატის იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ სოციალისტმა დეპუტატმა ლეონეტო ამადეიმ, აღადგენს ყბადაღებული მაკარტიზმის ყველაზე შავბნელ და ანტიდემოკრატიულ წესებს. ამ კანონის ძალაში შესვლა მოასწავებს, რომ შეერთებული შტატები დევნიან საკუთარ მოქალაქეებს, რომელთა მთელი „დანაშაული" ის არის, რომ მათი აზრით, ამერიკელთა ნამდვილი კეთილდღეობა და ბედნიერება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სხვა პოლიტიკური კურსის გზით, სხვა პოლიტიკით სოციალურ და ეკონომიურ დარგებში.

ამერიკის დაზვერვის შავბნელი საქმეები

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. (საკდესი). სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებულია ჯექსონის (მისისიპის შტატი) გაზეთ „დეილი ნიუსში", ვაშინგტონელი მიმომხილველი რობერტ ალენი ამხილებს ამერიკის დაზვერვის საქმიანობის ზოგიერთ ფაქტს.

„ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ახალი ხელმძღვანელი ჯონ მაკოუნი წერს, კერძოდ, ალენი — ემზადება წესრიგი დაამყარონ ამ სრულიად საიდუმლო ორგანიზაციის სახსრების ხარჯვაში.

მაკოუნმა მიმდინარე თვის დამდეგს დაამთავრა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უცხოეთის ოპერაციების პირადი გამოძიება და გადაწყვიტა ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან აღმოაჩინა, რომ სამმართველო აფინანსებდა ათობით საეჭვო კონფერენციას, ჯგუფსა და სხვა არალეგალურ საქმიანობას მთელ მსოფლიოში. მაგალითად, მაკოუნი გაოცდა, როცა შეიტყო ევროპაში, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოაწყო ან დააფინანსა სოციალისტების (ალენს მხედველობაში ჰყავს რა თქმა უნდა მემარჯვენე სოციალისტები. — რედ.) თითქმის ყველა დიდი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც კონტინენტზე მიმდინარეობდა უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში.

მ. ა. სირაძე

გარდაიცვალა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, სკკპ წევრი 1917 წლიდან მოსე ალექსანდრეს-ძე სირაძე.

მ. ა. სირაძე დაიბადა 1888 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ მიქელგაბრიელში (ახლანდელი მახარაძის რაიონის სოფელი შრომა) ღარიბი გლეხის ოჯახში. ორკლასიანი სასოფლო სკოლის დამთავრების შემდეგ მან 1905 წელს შეისწავლა დურგლობა და მუშაობდა სოფელში.

უკვე იმ წლებში 17 წლის ახალგაზრდა მ. ა. სირაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1905-1907 წლების რევოლუციაში. პარტიის დავალებით მას ბათუმიდან პროკლამაციები შემოჰქონდა გურიაში და ავრცელებდა გლეხებში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მ. ა. სირაძეს თურქეთის ფრონტზე მოუსწრო. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მ. ა. სირაძე შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში. მას შემდეგ მან თავისი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირა მშრომელთა განთავისუფლებისათვის კომუნისტური პარტიის დიადი ბრძოლის საქმეს, რომელსაც ახმარდა მთელ თავის ძალღონეს.

როგორც საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი, მ. ა. სირაძე ენერგიულ ბრძოლას ეწეოდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. 1919 წელს მონაწილეობდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში სუფსაში. ეს აჯანყება ჩახშობილ იქნა მენშევიკური მთავრობის მიერ. მ. ა. სირაძე სხვებთან ერთად დააპატიმრეს. მენშევიკურმა საველე სასამართლომ მას დახვრეტა მიუსაჯა, მაგრამ მ. ა. სირაძემ მოახერხა გაქცეოდა ჯალათებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მ. ა. სირაძე მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1941-1942 წლებში იგი მონაწილეობდა საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ. მ. ა. სირაძე ყოველთვის იყო კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, მისი აქტიური მებრძოლი.

ძვირფასი მეგობრის, თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანის მოსე ალექსანდრეს-ძე სირაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა 7 დეკემბერს.

რედაქტორის მოადგილე **გ. ვარდოსანიძე.**

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 84-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1961 წლის 30 ნოემბერს ქალაქ ალმა-ატაში.

მოგება ხვდა სესხის თექვსმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000292	23*)	500	036631	43*)	500	067044	1—50	40
000930	1—50	40	036831	14*)	500	067223	1—50	100
001525	30*)	500	037543	10*)	2.500	067614	25*)	500
001759	40*)	1.000	038078	36*)	1.000	069584	14*)	2.500
001925	1—50	40	038195	35*)	500	070659	35*)	500
002758	21*)	500	038410	1—50	40	071389	33*)	2.500
003112	03*)	1.000	040065	26*)	500	073116	37*)	500
003465	45*)	500	040405	1—50	40	073122	1—50	40
004065	46*)	500	041376	41*)	500	073445	16*)	1.000
006113	45*)	2.500	041382	14*)	1.000	073513	1—50	40
007846	32*)	500	041755	11*)	1.000	073683	30*)	500
008198	40*)	1.000	042693	26*)	1.000	074200	27*)	500
008486	31*)	500	043863	09*)	1.000	074490	10*)	1.000
009323	1—50	40	044389	13*)	500	074675	03*)	500
009397	1—50	40	044887	11*)	500	075073	1—50	40
010320	36*)	500	045033	31*)	1.000	076020	15*)	500
011659	36*)	1.000	045387	20*)	500	076453	42*)	500
011714	02*)	500	045656	1—50	40	076540	1—50	100
011843	1—50	40	045857	09*)	500	077397	37*)	1.000
011890	06*)	500	046396	23*)	1.000	078597	08*)	500
012076	19*)	500	046651	06*)	500	079122	04*)	500
012092	1—50	40	046897	1—50	40	079168	1—50	40
012476	1—50	100	048577	49*)	500	079364	1—50	40
013296	18*)	500	048722	19*)	1.000	080303	1—50	40
014448	1—50	40	048856	1—50	100	080481	1—50	40
014640	1—50	100	049181	50*)	1.000	080671	39*)	500
014837	1—50	40	049582	34*)	500	080868	21*)	500
015927	37*)	500	051255	12*)	500	083122	1—50	40
016757	1—50	40	052248	1—50	40	083470	1—50	100
017677	1—50	40	053943	1—50	100	083599	1—50	40
017921	1—50	40	053982	33*)	1.000	085592	1—50	40
017932	13*)	500	054410	08*)	500	086640	18*)	500
018019	1—50	40	054738	30*)	500	086641	06*)	500
018313	1—50	40	055653	42*)	500	087681	44*)	1.000
019249	33*)	500	055749	1—50	40	088109	1—50	40
020354	1—50	100	057000	30*)	500	088625	32*)	1.000
021093	1—50	40	057361	1—50	40	088926	31*)	1.000
021361	24*)	1.000	058867	37*)	500	090158	24*)	1.000
021821	1—50	100	059241	40*)	1.000	090530	38*)	500
022462	45*)	2.500	059365	1—50	40	090924	35*)	5.000
023274	35*)	500	059651	21*)	500	091818	18*)	1.000
024028	11*)	500	059694	25*)	500	091841	1—50	100
025807	20*)	500	060159	1—50	100	092116	1—50	100
026330	1—50	40	060164	47*)	500	092265	1—50	40
027252	1—50	40	061028	11*)	500	092607	26*)	500
027726	1—50	40	061118	1—50	100	092953	31*)	500
028264	08*)	500	061537	19*)	500	095469	27*)	500
028392	48*)	500	061634	29*)	500	095545	1—50	100
028757	26*)	5.000	061820	19*)	500	096185	16*)	500
029366	09*)	500	062883	09*)	1.000	096999	1—50	40
030954	1—50	40	063988	49*)	500	097086	44*)	500
032943	27*)	500	064191	42*)	500	097115	03*)	500
034009	16*)	500	065150	27*)	500	097176	1—50	40
034257	29*)	500	065528	1—50	40	098229	12*)	500
035723	48*)	500	066421	1—50	40	098477	1—50	40
035820	15*)	500	066559	43*)	500	099254	25*)	500
036530	45*)	500				099627	36*)	500

---

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში აღნიშნულია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგება.

ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგებული თანხის ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციების ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც შემნახველი სალაროები აწარმოებენ მოგებათა გაცემას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ალმა-ატის
მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **კ. ხ. ახმედოვა.**
კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ნ. მ. კუზნეცოვა.**

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის საშტატო თანამდებობის დასაკავებლად:

ღვინის მრეწველობის განყოფილებაში — 6 ადგილი, ეთერზეთებისა და ცხიმზეთების მრეწველობის განყოფილებაში — 3, თამბაქოს მრეწველობის განყოფილებაში — 2, ხორცის მრეწველობის განყოფილებაში — 1, რძის მრეწველობის განყოფილებაში — 3, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მრეწველობის განყოფილებაში — 2, ნედლეული რესურსების განყოფილებაში — 2, პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო მრეწველობის განყოფილებაში — 2, ტარისა და გაფორმების განყოფილებაში — 2, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განყოფილებაში — 3, წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის განყოფილებაში — 2, ტექნო-ქიმიური კონტროლის განყოფილებაში — 3, სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის განყოფილებაში — 1, ბიოქიმიის ლაბორატორიაში — 2, ბიოფიზიკის ლაბორატორიაში — 2, მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში — 2, სითბოსა და სიცივის ლაბორატორიაში — 2.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მეცნიერებათა დოქტორებს, კანდიდატებს, აგრეთვე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებსაც აქვთ წარმოებაში მუშაობის დიდი გამოცდილება.

პირმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში, განცხადება უნდა შემოიტანოს ინსტიტუტის დირექტორის სახელზე და ამავე დროს წერილობით აცნობოს ამის შესახებ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც ამჟამად მუშაობს. განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების საბუთების სათანადოდ შემოწმებული პირები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.

კონკურსის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

ყოველგვარი ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, ბროსეს ქუჩა № 2, კვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ტელ. 3-14-46.

კომუნისტი სპორტი

ექს-ჩემპიონის დამარცხება

ბაქო. 4 ნოემბერი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მეთორმეტე ტური.

ამ ტურის ერთ-ერთი ცენტრალური პარტია ბრონშტეინისა და ტალის ორთაბრძოლა იყო. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტალმა დებიუტი უჩვეულოდ გაითამაშა, იგი არ მოერიდა ზედმეტ რისკს, რისთვისაც დაისაჯა კიდევაც. ბრძოლის მსვლელობამ გვიჩვენა, რომ რიგელი გროსმაისტერის შემდგომ გართულებებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია და იგი 39-ე სვლაზე იძულებული გახდა ფარხმალი დაეყარა. ეს ტალის პირველი დამარცხებაა.

ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი გროსმაისტერი ხოლმოვი წარმატებით იბრძოდა ოსტატ ბაგიროვის წინააღმდეგ და 26-ე სვლაზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ხასინისა და გურგენიძის პარტიაში გურგენიძემ, რომელიც ზედმეტ რისკს ეწეოდა, შესამჩნევად დაასუსტა ლაზიერის ფლანგი, აღმოჩნდა მოწინააღმდეგის მარწუხებში და დამარცხება განიცადა.

პოლუგაევსკიმ მოუგო ზამკოვიჩს, ვლადიმიროვმა — ლეინს. ავერბახ-კერესის პარტიაში მოწინააღმდეგენი ყაიმზე დაჯერდნენ. ასეთსავე შედეგზე შეთანხმდნენ ვასიუკოვი და შიანოვსკი მე-7 ტურის გადადებულ პარტიაში.

ამრიგად, 12 ტურის შემდეგ სპასკის 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს 11-დან, ხოლმოვს — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია 12-დან, პოლუგაევსკისა და ზამკოვიჩს — შვიდ-შვიდი ქულა, კერესსა და ბრონშტეინს — ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულა.

ხვალ გაიმართება მე-13 ტური.

„დინამო" „ა" კლასში

ლენინგრადის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით მომავალი წლის საკავშირო ჩემპიონატში ლენინგრადის „ადმირალტეეცის" ნაცვლად მონაწილეობას მიიღებს ლენინგრადის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი.

დინამოელთა გამარჯვება

ჰავანა, 4 დეკემბერი. (საკდესი). 50 ათასი მაყურებელი, რომლებმაც აავსეს ქალაქ გუაიაკილეს (ეკვადორი) სტადიონი „მოდელო", გახდნენ მოწმენი თბილისის დინამოელთა გამარჯვებისა ადგილობრივ გუნდ „ემელეკზე". მეგობრული შეხვედრის შედეგია 5:1.

23-ე წუთზე ანგარიში გახსნა კალოევმა, ხოლო ათი წუთის შემდეგ იამანიძემ მოატყუა მეკარე და მეორე ბურთი გაიტანა. შესვენების შემდეგ ბურთი სამჯერ შეეხო „ემელეკის" კარის ბადეს. ერთადერთი საპასუხო ბურთი გაიტანა მეორე ტაიმში რაიმონდიმ.

„საბჭოთა ფეხბურთელების თამაში, — აღნიშნა პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტმა, — გამოირჩეოდა მტკიცე სტილით, მაღალი ტექნიკითა და სწრაფი ტემპით".

მატჩ-რევანში

გუშინ ლენინგრადში გაიმართა ასუჯრედიან შაშში მსოფლიო პირველობაზე მატჩ-რევანშის მე-15 პარტია მსოფლიოს ჩემპიონ შჩეგოლევსა და კუპერმანს შორის. 53-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. მატჩის ანგარიში გახდა 8:7 კუპერმანის სასარგებლოდ.

ჰასტინგსის ტურნირზე

ინგლისის საჭადრაკო ფედერაციისა და ჰასტინგსის კლუბის მიწვევით მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში მ. ბოტვინიკი და გროსმაისტერი ს. ფლორი მონაწილეობას მიიღებენ ჰასტინგსის საერთაშორისო საჭადრაკო ტრადიციულ ტურნირში. ამ ტურნირზე, გარდა საბჭოთა მოჭადრაკეებისა, მიწვეული არიან ევროპისა და ამერიკის უძლიერესი გროსმაისტერები.

კიევის რინგზე

3 დეკემბერს კიევის სპორტის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშების ფინალური მატჩი კრივში. რინგზე ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა არმიისა და სასპორტო საზოგადოება „შრომითი რეზერვების" მოკრივეთა კოლექტივები. გაიმარჯვა „შრომითი რეზერვების" გუნდმა ანგარიშით 6:4 და ჩემპიონობა მოიპოვა.

ტირაჟები 1962 წელს

ასეულ ათასობით მანეთ მოგებას იღებენ მშრომელები სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხით. ამ ობლიგაციების მფლობელია მილიონობით საბჭოთა ადამიანი.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა 1962 წელს სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ტირაჟების ჩატარების გეგმა.

ამ გეგმის შესაბამისად ტირაჟები შედგება: 30 იანვარს მოსკოვში, 30 მარტს — ხარკოვში, 30 მაისს — ჩელიაბინსკში, 30 ივლისს — მინსკში, 30 სექტემბერს — მოსკოვში და 30 ნოემბერს — ბაქოში.

უე 00740

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.